

თბილისის

ვანო

სარაჯიშვილის

სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორიის

ტრადიციული

მრავალხმიანობის

კვლევის

საერთაშორისო

ცენტრის

ბიულეტენი

თბილისი, დეკემბერი, 2018

# №25

*ახალი ამბები*

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ქართული სიმღერის დიდოსტატები ნელ-ნელა გვტოვებენ!

ტრადიციული მრავალხმიანობის მეცხრე საერთაშორისო სიმპოზიუმი

*ქართული სიმღერის მოამაგეები*  
ფირუზ მახათელაშვილი

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*  
ანსამბლი სამშაბათი (საფრანგეთი)

*ერთი ქართული ანსამბლის შესახებ*  
ანსამბლი აღსავალი

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*  
ფრანკ შერბაუმი

*ტრადიციული საოჯახო ანსამბლი*  
ანდელუღამეების მომღერალი ოჯახი

ანსამბლი რუსთავი იაპონიაში

ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების სადარაჯოზე (ნაწილი I)

*ეთნოგრაფიული წერილები*  
„შრომის სიმღერები გურიაში“ (ნაწილი I)

ამღერებული ამერ-იმერი

*ერთი საკრავის შესახებ*  
ფანდური

ფესტივალი ბაღია ჩვენი ქვეყანა

*ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ*  
ბატონების კულტი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა

სიმღერა „ბატონების ნანინა“

ახალი ამბები

## საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(ივლისი-დეკემბერი, 2018)

### ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები

**10.07.2018** - ქ. თბილისში საზეიმოდ გაიხსნა მუსიკის საერთაშორისო საზოგადოების მსოფლიოს 33-ე კონფერენცია ISME 2018 (World Conference of International Society for Music).

**25.07.2018** - ქ. ოზურგეთში გაიმართა ტრადიციული დღესასწაული „ფილიმონობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელ-მომღერალთა გუნდებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. პარალელურად, მომღერალ-მგალობელთა გუნდ ალსავალის ორგანიზებით ფილიმონ ქორიდის ხსენების დღე საზეიმოდ აღინიშნა თბილისის ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში.

**29.07-23.08.2018** - ქ. ბათუმში, Check in Georgia-ს ფარგლებში ჩატარდა ფესტივალი „ფოლკლორის დღეები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-მდე თბილისურმა და რეგიონულმა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა.

**13-14.10.2018** - კასპის მუნიციპალიტეტში გაიმართა ქართული ტრადიციული სიმღერისა და გალობის ფესტივალი „ქართლი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა, მგალობელთა და მომღერალთა ანსამბლებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

**13.10.2018** - ქ. თბილისში „ქართული ღვინის ფესტივალი 2018“ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**15-16.10.2018** - საჩხერის ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ტრადიციული გალობის მეექვსე ფესტივალი „ქართული საგალობლები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მგალობელთა ანსამბლებმა მთელი საქართველოდან.

**25-27.10.2018** - ქ. ბათუმში გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XIII საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა.

**30.10-3.11-2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტმკსც-მა ტრადიციული მრავალხმიანობის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩაატარა.

### ლექციები, სემინარები, შეხვედრები, მასტერკლასები, პრეზენტაციები...

**15.07.2018** - საქველმოქმედო ფონდ ქართული გალობის მხარდაჭერით ჩრდილოეთ იტალიაში, სოფელ პრემანაში გაიმართა ფონდის CD-DVD გამოცემის - „სიმღერით დაძრული მთები“ - პრეზენტაცია. მათში შესულია 4 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში პრემანელებისა და ანსამბლ ადილეის სოლო კონცერტის აუდიო-ვიდეო მასალა. .

**20-27.07.2018** - ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ ნანინას ხელმძღვანელი, ეთნომუსიკოლოგი თეა კასაბური, ლატვიის კულტურის აკადემიის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ საუციეასისა და კულდიგის მხარის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მიწვევით, იმყოფებოდა ლატვიის დედაქალაქ რიგასა და ქალაქ კულდიგაში ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასების ჩასატარებლად.

**14-24.08.2018** - ჭვანის ხეობაში (აჭარა) განხორციელდა გალობის უნივერსიტეტის სტუდენტური დასაქმების პროგრამის პირველი ეტაპი, რომლის მიზანი ადგილობრივ ანსამბლთან ერთად ტრადიციული სიმღერების აღდგენა იყო.

**20.09.2018** - ოზურგეთში (გურია) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლობის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა.

**23-30.09.2018** - ანსამბლმა შავნაბადა თურქეთის ქალაქ სტამბოლში ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის მასტერკლასებისა და სემინარების კვირეული გამართა, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა.

**27.09-8.11.2018** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გიგა ჩხაპელია საქველმოქმედო ფონდმა ქართული გალობა მიავლინა ბრიუსელის, ანტვერპე-

ნისა და გენცის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების სამგალობლო გუნდებისათვის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის მასწავლებლად.

**14-16.10.2018** - ანსამბლმა დიდგორი ჩაატარა ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის მასტერკლასები კანადელ მომღერალთა ჯგუფთან გაბრიელე ბუცილეს ხელმძღვანელობით.

**5.11.2018** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ჩატარდა გერმანელი პროფესორის ფრენკ შერბაუმის საჯარო ლექცია თემაზე: „ლარინგოფონით შესრულებული ქართული ტრადიციული სიმღერის, ლოცვისა და გლოვის აუდიო, ვიდეოჩანაწერების ხანგრძლივი შენახვის ინტერნეტ-არქივი, განსაკუთრებული მახვილით სვანეთზე“ (თემის თანაავტორები ნანა მჟავანაძე და ელგუჯა დადუნაშვილი).

**5.11.2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ფრენკ შერბაუმის ლექცია თემაზე: „ხმების შეწყობისა და ხმის ჰარმონიული რეგულირების ანალიზი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაცული არტემ ერქომაიშვილის 1966 წლის ჩანაწერებში“.

**9.11.2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა ავსტრალიაში, მელბურნის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ნინო ციციშვილის ლექცია თემაზე: „სასიყვარულო სიმღერები და რომანტიკული სიყვარულის წარმოშობა ადამიანის სოციალურობის ადრეული საფეხურების შუქზე“.

**13-16.11.2018** - ტმკსც-ის თანამშრომლებმა ემერ. პროფ. რუსუდან წურწუმიამ, თსკ დოქტორანტებმა თ. ლომსაძემ და ნ.რაზმაძემ, ფოლკლორის სახელმწიფო ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა თ. კასაბურმა მონაწილეობა მიიღეს ლატვიის, მაკედონიის, ესტონეთისა და საქართველოს ეთნომუსიკოლოგების შეხვედრაში, რომელიც შედგა ლატვიის დედაქალაქ რიგასა და კულდიგას მუნიციპალიტეტში ერასმუს+ პროექტის „იუნესკოს მიერ აღიარებული ფასეულობების ქსელი“ ფარგლებში.

**20.11.2018** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში ჩატარდა ეთნომუსიკოლოგიის დოქტორ დავით შულღიაშვილის საჯარო

ლექცია თემაზე: „ნევმების მრავალსახეობა მიქაელ მოდრევილის იადგარში“.

**3.12.2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ამერიკელი ეთნომუსიკოლოგისა და ანთროპოლოგის, პიტერ გოლდის ლექცია თემაზე: „მუსიკა ნავაჰოს ტომის ინდიელების კულტურაში“.

### *ექსპედიციები*

2018 წლის ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში ა(ა)იპ ფონდ „ჰეიამოს“ თანადამფუძნებელმა და დირექტორმა გიორგი კრავეიშვილმა ჩაატარა ექსპედიციები სოფელ სარფში.

### *გასტროლები*

**5-17.07.2018** - ანსამბლი *ადილეი* იმყოფებოდა იტალიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ტრევიზოში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში MICROMACRO G FEST 2018, ჩაატარა სოლო კონცერტები ქალაქებში: პადუა, ვენეცია, ტრიესტე, პრემანა, ვერონა.

**20-29.07.2018** - ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია *ამერ-იმერი* მონაწილეობდა პოლონეთში, ქალაქ ნოვი სონჩში ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალში „მთების შვილების დღესასწაული“ (Swieto Dzieci Gor), რომლის ფარგლებში 26 ივლისი ქართული კულტურის დღედ გამოცხადდა.

**27-29.07.2018** - ანსამბლი *დიდგორი* იმყოფებოდა საფრანგეთში, ბრეტანის მხარეში, სადაც მონაწილეობა მიიღო ფესტივალში Arrée Voce. ფესტივალის ფარგლებში ანსამბლმა გამართა ორი სოლო კონცერტი და ერთი მასტერკლასი.

**18.08.2018** - ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა *რუსთავი* ჩაატარა სოლო კონცერტი შვეიცარიის ქალაქ სიონში.

**20.08.2018** - იტალიის ქალაქ სიენაში, კასტელო დი პოტენტინოს პოლიფონიური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა დედას ლევანას სახელობის ანსამბლ *შილდასა* და ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *მზეთამზეს* კონცერტი.

**24.08.2018** - საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა *ბასიანი* მონაწილეობა მიიღო იტალიის ქა-

ლაქ პორტოგრაფიკაში გამართულ მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში.

**6-13.09.2018** - ანსამბლმა *იალონი* იმოგზაურა დიდ ბრიტანეთში (კემბრიჯი, ლონდონი, ბრისტოლი), სადაც ჩაატარა ქართული ტრადიციული მუსიკის მასტერკლასები და სოლო კონცერტები.

**16.10-19.11.2018** - ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა *რუსთავი* გამართა საგასტროლო ტურნე იაპონიის 21 ქალაქში.

**7-11.10.2018** - საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა *ბასიანი* საკონცერტო ტურნე მოაწყო გერმანიის ქალაქებში: ფრანკფურტი, კრონბერგი, იენა.

**19.11-1.12.2018** - ანსამბლმა *შენაბადა* საგასტროლო ტურნით მოიარა რუსეთის ქალაქები: პეტერბურგი, ეკატერინბურგი, ჩელიაბინსკი, ნიჟნი ნოვგოროდი, უფა, სამარა, მოსკოვი და სოჭი.

**23-27.11.2018** - ანსამბლმა *ანჩისხატი* გერმანიის ქალაქ შერში, Faust Studio-ში და ქალაქ შტუტგარტში ჩაატარა სოლო კონცერტები. ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად ანსამბლმა შეასრულა გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის, რუსუდან მეიფარიანის ნაწარმოებები.

**8.12.2018** - ანსამბლმა *ბასიანი* გამართა სოლო კონცერტი რუსეთის ქალაქ პერმის ფილარმონიაში „ტრიუმფი“.

**კონცერტები, სადამოები, გამოფენები, იუბილეები...**

**10.07.2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტთა საანგარიშო კონცერტი.

**13.07.2018** - ანსამბლმა *ნანინა* გამართა სოლო კონცერტი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრში ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ლენტეხის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმაც.

**14.07.2018** - ანსამბლმა *დიდგორი* გამართა სოლო კონცერტი ქალაქ ცაგერში (ლეჩხუმი) ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში. კონცერ-

ტში მონაწილეობა მიიღო ცაგერის მუნიციპალიტეტის ანსამბლმა *სალაღობო*.

**21-22.07.2018** - ანსამბლმა *შენაბადა* ჩაატარა ორი სოლო კონცერტი ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში ლანჩხუთის რაიონსა (გურია) და დაბა ქობულეთში (აჭარა). კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს. ასევე, ადგილობრივი სალოტბარო სკოლების მოსწავლეთა გუნდებმაც.

**29.07.2018** - ანსამბლმა *ადილეი* ჩაატარა სოლო კონცერტი ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთი) ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში.

**4.08.2018** - საქართველოს ყველაზე დიდ საკონცერტო დარბაზში, „ბლექ სი არენაზე“ განხორციელდა აშშ-ში მოღვაწე ქართველი მუსიკოსის გიორგი მიქაძისა და საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ *ბასიანის* ერთობლივი პროექტი „ვოისა“.

**11.08.2018** - ანსამბლმა *შენაბადა* ჩაატარა სოლო კონცერტი ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში ქ. ბათუმში.

**25-26.08.2018** - ანსამბლმა *იალონი* ჩაატარა სოლო კონცერტები ონისა და ამბროლაურის რაიონებში (რაჭა) ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში.

**1-2.09.2018** - ანსამბლმა *ადილეი* გამართა სოლო კონცერტები აჭარაში: ხულოს რაიონის დრამატულ თეატრსა და შუახევის რაიონის კულტურის ცენტრში ფესტივალ „ბაღია ჩვენი ქვეყანას“ ფარგლებში.

**10-20.09.2018** - ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლმა *რუსთავი* დაარსებიდან 50 წლის იუბილის აღსანიშნავად საკონცერტო ტურნით მოიარა საქართველოს რეგიონები და ჩაატარა სოლო კონცერტები 7 ქალაქში (თელავი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, აბაშა, ჩოხატაური, საჩხერე).

**12.09.2018** - საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „მემოდგომის თბილისი“ ფარგლებში გაიმართა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ *რუსთავის* საიუბილეო კონცერტი.

**15.09.2018** - ანსამბლმა *ანჩისხატი* ჩაატარა სოლო კონცერტი ქედაში (აჭარა) ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში.

**16.09.2018** - ბათუმის კონსერვატორიაში ანსამბლმა *ანჩისხატი* ჩაატარა სოლო კონცერტი სახელწოდებით „სიმღერას ვებედავ“.

**21.09.2018** - ანსამბლმა *შენაბადა* ჩაატარა სოლო კონცერტი ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარ-

რგლებში დედოფლისწყაროს რაიონში. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს დედოფლისწყაროს ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის ვაჟთა გუნდმა და ადგილობრივმა ანსამბლმა *ხორნა-ბუჯი*.

**22.09.2018** - ანსამბლმა *შვენაბადა* ჩაატარა სოლო კონცერტი ქალაქ გორში ფესტივალის „ბაღია ჩვენი ქვეყანა“ ფარგლებში.

**28.09.2018** - კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა მსოფლიო მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა *დიდგორი* და ამერიკელი კომპოზიტორის იუვალ რონის ფოლკლორულმა ჯგუფმა.

**28.09.2018** - საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა *ბასიანი* სოლო კონცერტი გამართა ქ. მცხეთის კულტურის სახლში „სვეტი“.

**29-30.09.2018** - ანსამბლმა *დიდგორი* გამართა სოლო კონცერტები ქალაქებში ჩოხატაურსა და ოზურგეთში (გურია) ფესტივალ „ბაღია ჩვენი ქვეყანას“ ფარგლებში. კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ანსამბლმა *ამაღლება*, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანსამბლმა *შემოქმედი* და ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა გუნდმა.

**4.10.2018** - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარის“ ფარგლებში გაიმართა ფოლკლორული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა *იალონი* და *ადილეი*.

**15.10.2018** - რუსთაველის თეატრში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“.

**19.10.2018** - თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში გაიმართა რიგით მეათე ღონისძიება სახელწოდებით „საერთაშორისო ხელოვნების დღეები“, რომლის ფარგლებში სოლო კონცერტი გამართა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის გუნდმა.

**24.10.2018** - ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ფოლკლორულმა ანსამბლმა *ერთობა* ლატვიურ ანსამბლებთან *ტიკაი ტა-სა* და *ნონა-სთან* ერთად გამართა ლატვიურ-ქართული მუსიკის საღამო, რომელიც ლატვიის რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნა.

**3.11.2018** - ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში ქართულ-ლატვიური ფოლკლორის საღამო გაიმართა ქალთა ფოლკლორული ანსამბლების *ნანიანა* (საქართველო) და *საუცვიასი* (ლატვია) მონაწილეობით.

**24.12.2018** - ფონდ *ქართული გალობის* ორგანიზებით ქ. თბილისში, სასტუმრო *რედისონ ბლუ ივერიაში* არტემ ერქომაიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის მესამე საზეიმო ცერემონიალი გაიმართა, რომელზეც ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის სფეროში შესრულებული საუკეთესო ნაშრომები გამოვლინდა.

**25.11.2018** - ტმკსც-მა და ფონდმა *ქართული გალობა* ქალაქ ინეგოლში (თურქეთი) გამართა პრეზენტაცია წიგნისა *ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში*. საღამო „პიტერ გოლდის ნაკვა-ლევაზე“, მიემდგვნა ამერიკელი ეთნომუსიკოლოგის, პიტერ გოლდის მიერ 1968 წელს, ქართული ხალხური კულტურის შესწავლის მიზნით სოფელ ჰაირიეში ჩატარებული ექსპედიციის 50 წლისთავს.


**26.12.2018** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის XXI საერთაშორისო ფესტივალის „სახალწლო მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში დედას ლევანას სახელობის ფოლკლორულმა ანსამბლმა *შილდა* და გალობის უნივერსიტეტის ვაჟთა და გოგონათა გუნდებმა ფოლკლორული მუსიკის საღამო გამართეს.

**27.12.2018** - ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი.

**გამოცემები**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრის გამოცემები:

*ივეტ გრიმო და ქართული მუსიკა*  
(თანდართული 4 კომპაქტდისკით)



ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრის,  
საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო  
ცენტრისა და ფონდ ქართული გალობის  
გამოცემები:

საგალობლების კრებული *შენ ხარ ვენახი*  
(თანდართული კომპაქტდისკით)




*ქართული მრავალხმიანობა*  
*დასავლეთ თურქეთში.*  
*პიტერ გოლდის ნაკვალევზე*

ანსამბლ *ანჩისხატის* აუდიოალბომი  
„სიმღერას ვბედავ“ (საკონცერტო ჩანაწერი)



ფონდ ქართული გალობის გამოცემები:

შუა საუკუნეების ქართული გალობა  
(რჩეული საგალობლები)



კულტუროლოგია  
(სალექციო კურსი)




ქართველი კომპოზიტორის, გია ყანჩელის ინიციატივით ფრანკფურტის ბაზრობისთვის გამოიცა ანსამბლ ბასიანი აუდიოალბომი „ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა“ (სასულიერო საგალობლები)



საქართველოს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტრომ გამოსცეს

ანსამბლ შავნაბადას აუდიოალბომი  
(სტუდიური და საკონცერტო ჩანაწერების ნაკრები)



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ რუსთავემა გამოსცა

ანსამბლის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი, ხალხური სიმღერებისა და საეკლესიო საგალობლების კრებული 400 ქართული ხალხური სიმღერა. ანსამბლი რუსთავი (16 კომპაქტდისკი)



მომზადა ტმკსც-ის სპეციალისტმა მაკა ხარბიანმა

## ქართული სიმღერის დიდოსტატები ნელ-ნელა გვტოვებენ!

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი მწუხარებას გამოხატავს ქართული ხალხური სიმღერის ორი დიდოსტატის - როსტომ გოგოლაძისა და გური სიხარულიძის გარდაცვალების გამო. ბოლო ერთი თვის მანძილზე ფოლკლორულმა საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა.

ამბროლაურის რაიონის (რაჭა) ანსამბლ *საგალობლის* დამაარსებელმა და უცვლელმა ხელმძღვანელმა, რაჭული ფოლკლორის უბადლო მცოდნემ, როსტომ გოგოლაძემ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მშობლიური სიმღერების მოვლა-პატრონობას შეაღია. „რაჭული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის“ 2013 წელს საქველმოქმედო ფონდმა *ქართული გალობა* იგი დააჯილდოვა, როგორც *ქართული სიმღერის მოამბე* და მის შესახებ მონოგრაფიაც გამოსცა (ავტორი - ზაია ასიეშვილი).



როსტომ გოგოლაძე

გურული სიმღერის უბადლო შემსრულებელი გური სიხარულიძე სხვადასხვა დროს გახლდათ მაკვანეთის გუნდის (არტემ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით) წევრი, ანსამბლ *ელესას* და *ვახტანგურის*, ასევე, ტრიო *შალვა ჩემო*-ს წევრი.

ფონდმა *ქართული გალობა* 2013 წელს გური სიხარულიძეც დააჯილდოვა „გურული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის“ და მოგვიანებ-

ით, ანზორ ერქომაიშვილის ავტორობით, მის შესახებ წიგნიც გამოსცა.



გური სიხარულიძე

*უფრო დაწვრილებით როსტომ გოგოლაძისა და გური სიხარულიძის მოღვაწეობის შესახებ იხილეთ ჩვენი ბიულეტენის მომდევნო ნომერში.*

## ტრადიციული მრავალხმიანობის IX საერთაშორისო სიმპოზიუმი – ქართული და დასავლური ეთნომუსიკოლოგიის შეხვედრის კვირეული

დღეს ქართული ეთნომუსიკოლოგია ამ სფეროში არსებულ დასავლურ მიდგომებს რომ კვალდაკვალ მიჰყვება, ეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართულმა (30 ოქტომბერი-3 ნოემბერი) ტრადიციული მრავალხმიანობის IX საერთაშორისო სიმპოზიუმმაც დაადასტურა, რომელშიც მსოფლიოს 17 ქვეყნიდან ჩამოსული 47 მეცნიერის ნაშრომების გვერდით 15 ქართველი ეთნომუსიკოლოგის კვლევა იყო წარმოდგენილი. ეს შედეგი, მნიშვნელოვანწილად, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გამართული სიმპოზიუმების უწყვეტმა ტრადიციამ განაპირობა – 2002 წლიდან მოყოლებული მასში არაერთმა სახელგანთქმულმა დასავლელმა ეთნომუსიკოლოგმა მიიღო მონაწილეობა (მათ შორისაა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ლე-



გენდა ბრუნო ნეტლი, ქართველების მაგალით-ზე „ჰომო-პოლიფონიკუსის“ თეორიის შემქმნელი, ეთნომუსიკოლოგი იზალი ზემცოვსკი და სხვ.), რომელთა გვერდითაც საკუთარ ნაშრომებს წარმოადგენდნენ ქართველი მკვლევარები, მათ შორის ახალგაზრდებიც.



სიმპოზიუმის აფიშა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პატრონაჟით გამართული IX სიმპოზიუმი მაინც განსაკუთრებული იყო - ის საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავს მიეძღვნა.

ამასთან, წლევანდელი სიმპოზიუმი მრავლისმომცველი თემატიკითა და საკონცერტო ნაწილის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა და განსხვავებული ინტერესების მქონე მეცნიერებსა თუ მუსიკის მოყვარულებს ამ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის გარშემო აერთიანებდა. ტრადიციული იყო სიმპოზიუმის ფორმატი – სამეცნიერო სესიებისა და შუადღისა თუ საღამოს კონცერტების მონაცვლეობით.

სამეცნიერო სესიების თემატიკა მოიცავდა მრავალხმიანობის ზოგადი თეორიის, ტრადიციული პოლიფონიის რეგიონული სტილების, მისი მუსიკალურ-ესთეტიკური თუ სოციალური ასპექტების, საკრავიერი თუ სასულიერო მუსიკის შესახებ შექმნილ ნაშრომებს. მიუ-

ხედავად იმისა, რომ უცხოელი მეცნიერების მიერ წაკითხულ მოხსენებებში წარმოდგენილი იყო მსოფლიოს არაერთი საინტერესო მრავალხმიანი კერა (შვედეთი, იტალია, ესტონეთი, ისლანდია, კარპატები, საფრანგეთის ალპები, ჰურამანი და სხვ.), ადგილობრივი აუდიტორიის გამორჩეული ინტერესის საგანს მაინც უცხოელი ავტორების მიერ განხორციელებული ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევები წარმოადგენდა.

ამათგან, განსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია გერმანელი მეცნიერის, ფრანკ შერბაუმის მოხსენებამ, „ლარინგოფონით შესრულებული ქართული ტრადიციული სიმღერის, ლოცვისა და გლოვის აუდიო, ვიდეოჩანაწერების ხანგრძლივი შენახვის ინტერნეტ-არქივი, განსაკუთრებული მახვილით სვანეთზე“, რომელიც მან ქართველ მეცნიერებთან, ნანა მჟავანაძესა და ელგუჯა დადუნაშვილთან თანაავტორობით წარმოადგინა. ქართველ-გერმანელი მეცნიერების წარმატებული თანამშრომლობა კარგი მაგალითია იმ გაღრმავებული ქართულ-დასავლური სამეცნიერო ურთიერთობისა, რაც, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ტრადიციული მრავალხმიანობის სიმპოზიუმებმა ჩამოაყალიბა.



სამეცნიერო სესია

საინტერესოდ წარიმართა მრგვალი მაგიდა და „ტრადიციული მრავალხმიანობა და მთები“, რომლის წამყვანმა, ავსტრალიაში მოღვაწე ქართველმა ეთნომუსიკოლოგმა იოსებ ჟორდანამ აუდიტორიას მრავალხმიანი მთის კულტურების საინტერესო სპექტრი წარუდგინა. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდა წლევანდელი სიმპოზიუმის განსაკუთრებული სტუმარი, ამერი-

კელი ეთნომუსკოლოგი და ანთროპოლოგი პიტერ გოლდიც, რომელსაც ტმკსც-ის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა.



**პიტერ გოლდის დაჯილდოვება**

პიტერ გოლდმა, ასევე, მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი ახალი გამოცემის, „ქართული მრავალხმიანობა დასავლეთ თურქეთში: პიტერ გოლდის ნაკვალევზე“ პრეზენტაციაში.

სიმპოზიუმზევე მოეწყო ცენტრის მეორე წლებანდელი გამოცემის, „ივეტ გრიმო და საქართველო“ პრეზენტაციაც, რომელშიც 1967 წელს ფრანგი ეთნომუსკოლოგის, ივეტ გრიმოსა და ქართველი ფოლკლორისტის, გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ საქართველოს თხუთმეტამდე კუთხეში ჩატარებული ექსპედიციების მასალაა შესული. აღსანიშნავია, რომ ცენტრის ორივე გამოცემა ოქტომბერში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იყო წარმოდგენილი.

განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მე-9 სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილი მასში მონაწილე ქართული რეგიონული თუ თბილისური ანსამბლებითა და 9 უცხოური ჯგუფით, რომელთა უმრავლესობაც უკვე წლებია ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობას ასრულებს ავსტრალიაში, საფრანგეთსა თუ კანადაში. მიუხედავად კონსერვატორიის მცირე დარბაზში წარმოდგენილი საკმაოდ რეზონანსული შუადღის კონცერტებისა, სიმპოზიუმის საკონცერტო ნაწილის უდავო კულმინაციას წარმოადგენდა კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული საღამოები: „მსოფლიოს

და ქართული მრავალხმიანობის კონცერტი“ მასში წარმოდგენილი ქართული და უცხოური ჯგუფებით, „თბილისური ფოლკლორის საღამო“ თბილისში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების თანამონაწილეობითა და კონცერტი „ფოლკლორი და თანამედროვეობა“. ეს კონცერტი სიმპოზიუმის ფარგლებში წელს პირველად ჩატარდა და მან განსხვავებული მუსიკალური გემოვნების მქონე მრავალფეროვანი აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.



**თბილისური ფოლკლორის საღამო**

თუმცა არაფორმალურ გარემოში შესრულებული ტრადიციული მუსიკა მაინც განსხვავებული სიხალასის მომტანია, რაც დაადასტურა კიდევ სიმპოზიუმის კულტურული დღის ფარგლებში ჯერ უფლისციხის მუზეუმის „თამარის დარბაზში“ ექსპრომტად შემდგარმა კონცერტმა, შემდეგ კი ატენის ხეობაში „ნიკა ვაჩიშვილის მარაში“ შეკრებილი მეცნიერებისა და უცხოური ანსამბლების რამდენიმე საათიანმა მუზიციურებამ. ასეთ გარემოში სულ სხვა გულახდილობით გაიჟღერა ერთ-ერთი უცხოელი მეცნიერის სიტყვებმა, რომ ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი ის დიდი ოჯახია, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მთელ მსოფლიოში გაფანტულ ტრადიციული მუსიკის მოყვარულ ოჯახის წევრებს საერთო დღესასწაულზე უყრის თავს...

*თეონა ლომსაძე*  
ტმკსც-ის სპეციალისტი

## ფირუზ მახათელაშვილი

კახეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი თელავი უძველესი მუსიკალური ტრადიციების ქალაქია. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, აქ მუდამ იყო მომღერალთა გუნდი. 1885 წელს თბილისში ლადო აღნიაშვილის „ქართული ხოროს“ პარალელურად, თელავში იქმნება ზაქარია ჩხიკვაძის, იოსებ მონადირიშვილისა და ნიკო სულხანიშვილის გუნდები. გასული საუკუნის 20-იან წლებში ნიკო სულხანიშვილის დაშლილი გუნდი ახალი მომღერლებით შეავსო და სათავეში ჩაუდგა გრიგოლ კოლეღიშვილი. 1926 წელს ეს გუნდი დიმიტრი (ტიტო) მგალობლიშვილის გუნდს შეუერთდა. 1937 წლიდან მგალობლიშვილი ცოტა ხნით რეზო ქარუხნიშვილმა, შემდეგ კი შიო ბაბალაშვილმა შეცვალა. 1939 წელს დაშლილი ეთნოგრაფიული გუნდის განსაახლებლად თელავში იწვევენ ფირუზ მახათელაშვილს, რომელმაც დიმიტრი მგალობლიშვილის რეკომენდაციით თბილისის კონსერვატორიაში მიიღო განათლება. იგი სიცოცხლის ბოლომდე თელავის გუნდის უცვლელი ლოტბარი იყო.

**ფირუზ მახათელაშვილი** დაიბადა 1914 წელს თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურში, გლეხის ოჯახში.

1936 წელს თბილისში დაამთავრა საშუალო სამუსიკო სასწავლებელი და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე გუნდის დირიჟორის სპეციალობით. სასწავლებელშივე ხელმძღვანელობდა თვითმოქმედ წრეებს. 1936 წელს, როგორც ლოტბარი, ხალხური შემოქმედების სახელმა (დღევანდელმა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა) აიყვანა აღრიცხვაზე და ამ წლიდან ოფიციალურად ხელმძღვანელობდა რკინიგზელთა კლუბის ანსამბლს; 1938 წელს – სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს, 1939 წელს კი თელავში გაიწვიეს ეთნოგრაფიული გუნდის აღსადგენად. ახალგაზრდა ლოტბარი იძულებული გახდა, კონსერვატორიაში ერთი წლით აკადემიური შვებულება აეღო. თუმცა, ომის დაწყების გა-

მო, მან ვერ შეძლო კონსერვატორიის დამთავრება. ასე აღმოჩნდა 25 წლის ნიჭიერი ახალგაზრდა საკმაოდ საპატიო და სასიამოვნო, მაგრამ უმძიმესი საქმისა და პასუხისმგებლობის წინაშე. მართალია, თელავის გუნდს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, მაგრამ იოლი არ იყო დაშლილი ეთნოგრაფიული გუნდის აღდგენა, რეპერტუარის გამდიდრება, თანაც ეპოქისათვის – სისტემისათვის – უმძიმესი ხარკის გადახდა.



ფირუზ მახათელაშვილი

ფირუზ მახათელაშვილმა, უპირველესად, ჩაიწერა ლევან ასაბაშვილის (დედას ლევანას), ილიკო სინჯიკაშვილის, მიხა ავგაროზიშვილის, ვანო მჭედლიშვილის, მიხა ჯილაურის, ნინია ელოშვილის ნამღერი ვარიანტები. თავდაპირველი ელფერისა და ხასიათის შეუცვლელად აღადგინა დროთა განმავლობაში შელახული სიმღერები და შექმნა საუკეთესო მწყობრი ანსამბლი. ფირუზ მახათელაშვილს, როგორც დიდ ხელოვანსა და შემოქმედს, მაშინ მოუხდა მოღვაწეობა, როცა რეჟიმი ითხოვდა სცენაზე სოციალიზმ-კომუნისმის მშენებელი კოლმეურნეების იდეალური ყოფის წარმოჩენას. ლოტბარმა კი გააცოცხლა, ცოცხალ სურათებად წარმოადგინა ქართველი კაცის ოდინდელი ცხოვრება - ლაღი ქართველებით, მამაცი მწყემსებით, სიყვარულის მარადიული წყურვილით... ასე დამკვიდრდა ქართულ ფოლკლორში და ქართველთა მეხსიერებაში ფირუზ მახათელაშვილის „ნუ გიყორს, ქალავ“, „სიმღერა კახეთზე“, „სიმღერა თელავზე“, მუ-

სიკალურ-ქორეოგრაფიული სიუიტი „მთისა და ბარის მეგობრობა“. მიუხედავად თავისი სიმღერების დიდი პოპულარობისა, თავად ყოველთვის დიდ ზღვარს ავლებდა მათსა და ხალხურ შედეგებს შორის. გუნდის რეპერტუარის შედგენისას პირველად ხალხურ სიმღერებს ჩამოწერდა, ბოლოში მოკრძალებულად თანამედროვე ნიმუშებს – ეპოქის მოთხოვნის მიხედვით დაწერდა.



თელავის გუნდი, 1950

დიდი ლოტბარი შესანიშნავად უკრავდა სიმებიან საკრავებზე, იქნებ ამიტომაც საკრავთოსტატობაშიც მოსინჯა ძალა: მახათელაშვილების ოჯახში დღესაც ინახება მისი ხელით გამოთლილი კომბინირებული საკრავი „ჩანგური“ - ჩანგი, ფანდური, ჩონგური ერთად. ფირუზ მახათელაშვილი არ ყოფილა მხოლოდ პრაქტიკოსი ლოტბარი. ამაში მისი არქივისათვის ერთი თვალის გადავლებითაც დავრწმუნდებით. ინტერესის სფერო ფართოა: „მუსიკის მდგომარეობა საქართველოში“; „ქართული ოპერა“; „მუსიკაზე ფილოსოფოსთა აზრის შემოჭრა ლიტერატურაში“... სამწუხაროდ, სტატიები თუ ნარკვევები დაუმთავრებელია. აქვეა სასიმღერო ჰანგისათვის გამზადებული უამრავი ლექსი.

1944-52 წლებში თელავის გუნდი სახელმწიფო ანსამბლის სტატუსს ატარებდა; 1951 წელს თავად გუნდის ხელმძღვანელს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა; 1967 წელს „თელაველები“ მოსკოვში საკავშირო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ.

ფირუზ მახათელაშვილი ოცდაათი წელი ემსახურა ქართულ ფოლკლორს. იმუშავა გორში (1953), რუსთავეში (1956-57), ახმეტაში (1947), ყვარელში, კურდღელაურში, მუკუზანში, წინანდალში, შილდაში, ნაფარულში, თელავის სხვადასხვა სკოლასა და მასწავლებელთა სახლში, გურჯაანისა და ველისციხის ანსამბლებსა და საგუნდო კოლექტივებში, მაგრამ მისი „საჯილდაო ქვა“ მაინც თელავის გუნდი იყო. ლოტბარმა მაქსიმალურად გამოიყენა იშვითი ნიჭითა და ხმით დაჯილდოებულ მომღერალთა შესაძლებლობანი. ამიტომაც იარსება ამ გუნდმა ამდენი წელი და შედარებით იოლად გადაიტანა თაობათა ცვლის რთული და მტკივნეული პროცესი.

თაობათა ცვლა, განსაკუთრებით წამყვანი ხმებისა, მრავალი გუნდისა და ანსამბლისათვის გამბდარა პრობლემა. ამ მხრივაც ნამდვილად გაუმართლა თელავის გუნდს - ავთანდილ შაშურაშვილის, არტემ ფირუმოვის, შალვა ზიძინაშვილის, შალვა და დავით მარკოზაშვილების, ზაქრო რაზმაძის, კოტე თამარაშვილის, ჯიმშერ თვალიაშვილის, უშანგ ყორანიშვილის, ვლადიმერ გულოვანოვის, ჯემალ ჩოთალიშვილის სახით. ლომიძე-ამუზაშვილ-ფეიქრიშვილის დუეტები ხომ ლეგენდად შემორჩა თელავის გუნდსა და კახურ სიმღერას. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ შაქრო ლომიძის, გიორგი ფეიქრიშვილისა და გიორგი ამუზაშვილის ფოტო აშშ-ში მიემართა ჩიჯავაძის „ქართული ხალხური სიმღერების“ კრებულს. ამ სამეულმა არნახული გაქანება, სივრცე და სისავსე მისცა კახურ სიმღერას. სპეციალისტები ერთსულოვნად აღიარებენ მათს უზადო ნიჭს, შესაძლებლობებსა და განუმეორებელ ხელწერას.

*ბაია ასიეშვილი*  
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის  
მთავარი რედაქტორი

## ანსამბლი *სამშაბათი* (საფრანგეთი)

*სამშაბათი* არის ქალთა სამოყვარულო ვოკალური ჯგუფი ცენტრალური საფრანგეთიდან. ჯგუფი ასრულებს მხოლოდ ქართულ ტრადიციულ, ძირითადად საერო მრავალხმიანობას. 12 წელია კოლექტივი ქართულ რეპერტუარს ცოცხალი შესრულებით წარმოადგენს კონცერტებზე.

### ჯგუფის ისტორია

ვერონიკ ბოლატონმა ქართული მრავალხმიანობა აღმოაჩინა ზაკა ამანის მასტერკლასებზე ლონდონში 2006 წელს. საფრანგეთში დაბრუნებულმა, ამ რეპერტუარის შესრულების მიზნით, მოყვარულთა პატარა ჯგუფი შეკრიბა, ჯერ შერეული, შემდეგ კი მხოლოდ ქალთა 6-13 წევრის შემადგენლობით. არცერთი მათგანი ქართველი არ არის. ჯგუფი რეპეტიციებს მხოლოდ სამშაბათობით მართავს, სწორედ ამიტომ დაირქვა სახელად *სამშაბათი*. მათ სარეპეტიციო სივრცე ქალაქ კურნონ დ'ოვერნში აქვთ.



IX საერთაშორისო სიმპოზიუმზე თბილისში

ანსამბლს მთავარი იმპულსი მისცა შეხვედრამ ფორტეპიანოს პედაგოგთან კლერმონფერანიდან, თამარ თურმანიძესთან, რომელიც დაეხმარა ანსამბლს მალხაზ ერქვანიძის მასტერკლასის ორგანიზებაში. მისივე ძალისხმევით *სამშაბათმა* 2011 წელს „არტგენის ფესტივალში“ მიიღო მონაწილეობა.

თავდაპირველად ჯგუფმა თავისი რეპერტუარი ტრისტან სიხარულიძის, კრეგ და დენიზ შაფერების, ლორან სტეფანის, ეველიან ლოშუს მასტერ-კლასებზე ნასწავლი სიმღერებით შეავსო. შემდეგ კი სიმღერების შერჩევა კომპაქტური დისკებიდან და ინტერნეტში ხელმისაწვდომი რეპერტუარიდან გააგრძელეს. ვოკალური ტექნიკის გაუმჯობესებაში სოსო კოპალეიშვილი და კარლ ლინიქი დაეხმარათ. სიმღერის გარდა, ქართულ ტრადიციულ საკრავებს, ფანდურსა და დოლსაც დაეუფლნენ და უკვე არაერთ სიმღერას ასრულებენ მათი თანხლებით.

2017 წელს ვერონიკის წასვლის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელობას კამილ გეი აგრძელებს.

### რეპერტუარის არჩევა

*სამშაბათი* ცდილობს, გადმოსცეს ქართული სიმღერის ორიგინალობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა და განვითარების მაღალი დონე. მისი რეპერტუარი შედგება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული სიმღერებისგან, მოიცავს საწესო, სუფრულ, სატრფიალო, სახუმარო, ისტორიულ სიმღერებს, წარმართულ ჰიმნებსა და ქრისტიანულ საგალობლებს, საცეკვაო და საფერხულო ნიმუშებს.

ჯგუფისთვის საყურადღებოა აუდიტორიის რეაქცია. მომღერლები ესაუბრებიან მათ სიმღერების მნიშვნელობასა და იმ კონტექსტზე, რომელშიც ისინი ტრადიციულად სრულდება. როდესაც დამსწრეთა შორის ქართველები არიან, ისინი სიამოვნებით იწყებენ ცეკვას ან სიმღერას ანსამბლის წევრებთან ერთად და ყველას ადაფრთოვანებენ.

წელიწადში დაახლოებით 15-ჯერ *სამშაბათი* თავის რეპერტუარს სიამოვნებით წარუდგენს მრავალფეროვან აუდიტორიას თეატრებში, ეკლესიებში, ფესტივალებზე, ბარებში, სკოლებში, მოხუცთა სახლებში...

ანსამბლს უყვარს უცნაური ადგილების (სარდაფები, გამოქვაბულები) ან უჩვეულო პირობების (ქართული ღვინის დეგუსტაცია) მოსინჯვა, დახურულ კონცერტებში მონაწილეობა, სხვა ხელოვანებთან თანამშრომლობა.

*სამშაბათი*, გარდა „არტგენის ფესტივალისა“, მონაწილეობდა ტრადიციული მრავალხმიანობის მე-9 საერთაშორისო სიმპოზიუმში

(2018, თბილისი) და ექსპერიმენტულ ფესტივალში (2008, პოლონეთი. დაახლოებით წელიწადში ორჯერ ვერონიკ ბოლატონი აწყობს მასტერკლასებს ყველანაირი აუდიტორიისთვის.

თავისი არსებობის 10 წლის შემდეგ ანსამბლმა განახორციელა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი: გამოსცა პირველი კომპაქტური დისკი, რომელშიც შესულია 20 ქართული ხალხური სიმღერა.



ანსამბლ სამშაბათის CD

მოგზაურობა საქართველოში სამშაბათის ყველაზე დიდი შთაბეჭდილებაა: ესაა უშუალო შეხება ქართულ სიმღერებთან, თბილი შეხვედრები ქართველ ადამიანებთან, სუფრის საოცარი ტრადიციები და შეუდარებელი მეგობრობა.

**წევრები:**

დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი 11 წლის განმავლობაში: ვერონიკ ბოლატონი, ამჟამად - კამილ გეი.

მომღერლები: კრიატიან კუსნიერეკი, მარი-ოდ-ილ ეიდიე, გაელ ლავერუ, ელოდი პოკაშარი, დიან დებოენი, ანეს სერვანი, შანდრა ბრუნი, ჟული ფერონი, კამილ გეი.

**კონტაქტი:**

www.samshabati.com

ელ-ფოსტა: [samshabati@gmail.com](mailto:samshabati@gmail.com)

*ერთი ქართული ანსამბლის შესახებ*

**ანსამბლი აღსავალი**

*მგალობელ-მომღერალ ვაჟთა გუნდი აღსავალი 2005 წელს შეიქმნა ქართული ტრადიციული მუსიკით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდა ადამიანებისგან, რომლებიც დღემდე ერთგულად ემსახურებიან ქართული სიმღერისა და გალობის პოპულარიზების საქმეს. გთავაზობთ ინტერვიუს გუნდის მენეჯერ გუჯა ნარიმანაშვილთან.*

**მ.ხ. - როდის გაგიჩნდათ ანსამბლის შექმნის იდეა და როგორ შეასხით ხორცი?**

**გ.ნ.** - ანსამბლის შექმნის იდეა 2005 წელს გაჩნდა. პირველი წევრები თბილისის სხვადასხვა ტაძრის მოქმედ მგალობელთა გუნდებიდან შემოვიკრიბეთ. ყველას გვაერთიანებდა ტრადიციული ქართული გალობის სიყვარული და სურვილი, შეგვესწავლა და პრაქტიკაში დაგვეწერა „გალობანის“ ჟანრი, რომელიც იმ დროს რამდენიმე ტაძარში სრულდებოდა და ისიც, მარტო აღდგომის დღესასწაულზე.

**მ.ხ. - სახელი „აღსავალი“ ალბათ გალობის პრიორიტეტს მიანიშნებს ანსამბლის რეპერტუარში.**

**გ.ნ.** - დიახ, გუნდის მთავარი მიზანი თავიდანვე იყო ქართული ტრადიციული საგალობლების დამკვიდრება ღვთისმსახურებაში და მისი პოპულარიზაცია, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. და ჩვენ ეს შევძელით. დღეს *აღსავალი* თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდია.

**მ.ხ. - რამდენი წევრია ანსამბლში? გაგვაცანით ისინი.**

**გ.ნ.** - გუნდში შემადგენლობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოფილი „აღსავალი“ არ არსებობს, რადგან ჩვენი მეგობრები აგრძელებენ წარმატებულ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ქმნიან ანსამბლებს და აქტიურად არიან ჩართულები ქართული ტრადიციული მუსიკის აღორძინების საქმეში, რაც ძალიან გვყვამყვება. ამ ეტაპზე გუნდში 10 მომღერალ-მგალობელია: ზაზა ფანჩვიძე, გიორგი მოლოდინი, საბა კემულარია,

ბექა კემულარია, გიორგი კობაიძე, ჯონ გრემი, თორნიკე ძაძაძია, გუჯა ნარიმანაშვილი, გიორგი ჯაში, ლუკა ხუბულური.

**მ.ხ. - როგორც ვიცი, გუნდში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები ხართ გაერთიანებული.**

**გ.ნ. -** დიახ, ასეა. ყველაზე უფროსი ზაზა ფანჩვიძე 41 წლისაა, ყველაზე ახალგაზრდა კი 18 წლის ლუკა ხუბულურია. რაც შეეხება პროფესიებს, გუნდში პროფესიონალი მუსიკოლოგი გვყავს ჯონ გრემი, რომელმაც პრინსტონის უნივერსიტეტში (აშშ) დაიცვა PHD-ხარისხი სწორედ ტრადიციული ქართული გალობის ისტორიის მიმართულებით. დანარჩენი წევრებიდან გვყავს ეკონომისტები, ბანკირი, ბიზნეს ადმინისტრატორი, ბუღალტერი, ტურიზმის მენეჯერი, მოქანდაკე, მომავალი ექიმი (სტუდენტი) და კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის აბიტურიენტი.



გუნდი *აღსავალი*

**მ.ხ. - როგორც ვხედავ, ყველა საკმაოდ დაკავებული ხართ. როდის და სად ახერხებთ რეპეტიციებს?**

**გ.ნ. -** ძირითადად, რეპეტიცია გვაქვს კვირაში ერთხელ, ხოლო, როცა კონცერტისთვის და ჩაწერებისთვის ვემზადებით, – კვირაში სამჯერ. მოგეხსენებათ *აღსავალი* უკვე 10 წელია, რაც თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მაგალობელთა გუნდია, შესაბამისად ქაშვეთის სამრევლო სკოლაში გვაქვს სარეპეტიციო სივრცე.

**მ.ხ. - მოდით, ხალხურ სიმღერებსაც შევხებით, რომლებიც უხვად გაქვთ რეპერტუარში. საიდან**

**ირჩევთ რეპერტუარს და უფრო რომელი კუთხის სიმღერებს ანიჭებთ უპირატესობას?**

**გ.ნ. -** რეპერტუარის შედგენაში ყველანი ვართ ჩართული. როცა უცხოეთში ტურნესთვის ვემზადებით, ვცდილობთ, ყველა კუთხის სიმღერები გვქონდეს რეპერტუარში, რათა შევძლოთ საქართველოს მუსიკალური კულტურის მრავალფეროვნების წარმოჩენა. სხვათა შორის, ამაში გუნდის შემადგენლობაც გვიწყობს ხელს. მაგრამ *აღსავალის* ძირითადი მიმართულება მაინც ქართული საეკლესიო გალობაა. ამ მხრივ, ჩვენს რეპერტუარში დასავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის ნიმუშები უფრო სჭარბობს. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი ალბომიდან ორი – გელათისა და მარტვილის მონასტრებში – სწორედ იმ კერებში ჩაწერეთ, სადაც ეს საგალობლები საუკუნეების მანძილზე სრულდებოდა.

**მ.ხ. - რამდენად ხშირად ხართ ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში? უცხოეთიდანაც თუ გაქვთ მიწვევები?**

**გ.ნ. -** გუნდი ხშირად არის ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში ძირითადად სასულიერო მუსიკის მიმართულებით. მიწვევები უცხოეთიდანაც გვაქვს. მაგალითად, აღსანიშნავია წლევეანდელი ტურნე ინდოეთში, კერძოდ, გოაში სადაც ქართველი დედოფლის, ქეთევან წამებულის სახელობის ფესტივალი „Ketevan“ მესამედ გაიმარა. *აღსავალს* ერგო პატივი, პირველი ქართული ანსამბლი ყოფილიყო ამ საერთაშორისო ღონისძიებაზე.

**მ.ხ. - როგორ ხედავთ ქართული ტრადიციული გალობის საღვთისმსახურო პრაქტიკაში უფრო ღრმად ჩანერგვის პერსპექტივას?**

**გ.ნ. -** როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გუნდის მთავარი მიზანი სწორედ საეკლესიო გალობის ტაძრებში დამკვიდრება და პოპულარიზაციაა.

მიგვაჩნია, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა არის გასავლელი იმისთვის, რომ საღვთისმსახურო პრაქტიკაში სრულყოფილად აღდგეს საცისკრო კანონების „ძლისპირების“ გალობით შესრულება. ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია საქართველოს ეკლესიის ლიტურგიკულ მიმართულებაზე მომუშავე სასულიერო პირებთან და სპეციალისტებთან ერთად მუშაობა.

**მ.ხ. - ამჟამად რას საქმიანობთ და უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?**

გ.ნ. - ამჟამად ვმუშაობთ ახალ რეპერტუარზე, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს – სვეტიცხოვლის სკოლის საგალობლებზე. ახლო მომავალში კი ვგეგმავთ ახალი აუდიოალბომის გამოცემას.

*ინტერვიუ ჩაიწერა ტმკსც-ის სპეციალისტმა  
მაკა ხარძიანმა*

*უცხოელები ქართული ფოლკლორის შესახებ*

## დედამიწის მუსიკოლოგიიდან ქართული მუსიკის გამოთვლით ეთნომუსიკოლოგიაში

ქართულმა მუსიკამ პირველი შეხების-თანავე მომხიბლა 2011 წელს, ფრანკ კეინის მასტერკლასის დროს. მაშინ ჩემი პრაქტიკული მუსიკალური განათლება მოიცავდა მხოლოდ ფლეიტის რამდენიმე გაკვეთილს ბავშვობაში და კლასიკური გიტარის ათწლიან კურსს ზრდასრულ ასაკში. მოგვიანებით, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გავიარე ორწლიანი კურსები მუსიკოლოგიაში.



სეისმოლოგიური ექსპედიცია  
იორდანის უდაბნოში (2000)

თუმცა, ჩემი ინტერესის ძირითად სფეროს წარმოადგენდა გეოლოგია და ფიზიკა, რომლებსაც ვეუფლებოდი, რათა გავმხდარიყა-

ვი სეისმოლოგი; ამ პროფესიას 30-ზე მეტი წელია ვემსახურები.



საპილოტე კვლევის პირველი ხმისჩამწერი სესიის  
შემდეგ. სოფ. ლენჯერი, 2015

მე, როგორც სეისმოლოგი, რომელიც თავის მეცნიერებას უწოდებს „დედამიწის მუსიკოლოგიას“, დავინტერესდი ფრანკ კეინის კონცეფციით, რომ ქართული სიმღერა არის „ვიბრაციული გაზიარება“. მაშინვე გადავწყვიტე ამ „იდუმალი ვიბრაციების“ ფიზიკური ასპექტების კვლევა. ჩვენი პირველი შეხვედრიდან მალევე დავიწყეთ “სეისმოლოგიურად ისნიპირებული” ერთობლივი ექსპერიმენტები სიმღერის დროს სხეულის მიერ გენერირებული ვიბრაციების შესასწავლად. მალე ნათელი გახდა, რომ სიმღერის დროს შესამღებელია ვიბრაციების ჩაწერა მთელი სხეულიდან სპეციალური სენსორების მეშვეობით. აქ უკვე ჩაერთო ჩემი მეცნიერული ცნობისმოყვარეობა!

ვცდილობდი, წამეკითხა ყველაფერი ქართული მუსიკის შესახებ, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა; შემდეგ გავიგე, რომ ეთნომუსიკოლოგი სუზან ციგლერი მუშაობდა ძალიან ახლოს იმ ადგილთან, სადაც მე ვცხოვრობ. ის დამთანხმდა შეხვედრაზე და მას შემდეგ დიდ-სულოვნად მიზიარებს თავის შეხედულებებს მრავალწლიანი გამოცდილებიდან. სუზანმა ასევე გამაცნო თავისი ეთნომუსიკოლოგიური კვლევის პრაქტიკა. მაგ.: ქართული მუსიკის დასავლური, კლასიკური კლასიკურ ტრანსკრიფციასთან დაკავშირებული გამოწვევები. ეს საბოლოოდ დამეხმარა მივმხვდარიყავი, რომ სიმღერის დროს სხეულის ვიბრაციების ჩაწერა



დამეხმარებოდა ბუნებრივ გარემოში ერთად მღერის პროცესში მომღერლის სუფთად ჩაწერაში, ხმის სიმაღლისა ინტენსივობის თვალსაზრისით.



ხმისჩამწერი სესიის შემდეგ.  
სოფ. ღები (2016)

2014 წლისთვის ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქართული მუსიკის შესრულება და ჩემ მიერ მისი მუსიკოლოგიური კვლევა უფრო მეტი გამხდარიყო, ვიდრე ჰობი და როგორც გეოფიზიკის პოფესორმა, სამეცნიერო შვებულება ავიღე. 2015 წელს მომღერალ და ეთნომუსიკოლოგ ნანა მჟავანაძესთან ერთად ჩავატარე სასინჯი სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში, რათა მენახა, რამდენად სერიოზულად შეიძლება ბოდა სიმღერის დროს ჩაწერილი სხეულის ვიბრაციების გამოყენება. იმ მოგზაურობის ერთ-ერთი ყველაზე სამახსოვრო მოგონება იყო სოფელ ლახუშდში, ჩამგელიანების ოჯახში გატარებული ერთი საღამო, როდესაც ჩამგელიანების დისულოვანი მასპინძლობის პარალელურად, ჩვენ ხორხის მიკროფონების გამოყენებით ჩავწერეთ ისლამ ფილფანი, მურად ფირცხელანი და გიგო ჩამგელიანი.

საპილოტე პროექტის შედეგებით წახალისებულმა, სვანი მომღერლების ჩაწერის მიზნით, მოვაწყვე უფრო დიდი ექსპედიცია სვანეთის სოფლებში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ სვანურ დასახლებებში.

2016 წლის ზაფხულში, პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, მე და ნანა მჟავანაძემ ლევან ხიჯაკაძესთან ერთად 3 თვე გავატარეთ ექსპედიციაში. ამ ექსპედიციის შედეგად ხელთ გვაქვს აუდიო, ვიდეო და ხორხის მიკროფონებით შესრულებული საექსპედიციო ჩანაწერების უნიკალური ახალი კოლექცია, რომელიც ხელმისაწვდომია ქართული ხალხური მუსიკის მკვლევარებისთვის.

ჩემთვის უძვირფასესია ეს შედეგები და, ასევე, მოგონებები ულამაზეს პეიზაჟებსა და არაჩვეულებრივ ხალხზე, რომლებმაც დროებით თავისი ცხოვრების ნაწილი გამხადეს და მასწავლეს, რომ ერთად მღერა უძვირფასესი განძია.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორ ვითარდება კომპიუტერული ტექნოლოგია, როგორ ცვლის ჩვენს ცხოვრებასა და ურთიერთობას სამყაროსთან. გასაკვირი არ არის, რომ ამ ცვლილებებმა ეთნომუსიკოლოგიაზეც მოახდინა გავლენა და ხელი შეუწყო მეცნიერების ახალი დარგის, „გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგიის“ წარმოშობას.

ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან ურთიერთობის პერიოდში დავრწმუნდი, რომ ახალი ტექნოლოგიები და გამოთვლითი მეთოდები შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს ეთნომუსიკოლოგიური კვლევისთვის, არა როგორც კლასიკური მიდგომების ჩამანაცვლებელი, არამედ როგორც დამატებითი/შემაჯავებელი პერსპექტივა.

ჩემთვის გამოთვლითი ეთნომუსიკოლოგია არის შესანიშნავი საკვლევი სივრცე, რომელიც საშუალებას მძლევს, გავაერთიანო ჩემი სიყვარული მეცნიერებისა და ქართული მუსიკის მიმართ. იმედი მაქვს, რომ ეს ახალი მოვლენები ხელს შეუწყობს ამ უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ დაფიქსირებასა და გაგებას მომავალში.

*ფრანკ შერბაუმი*

პოტსდამის უნივერსიტეტის გეოფიზიკის  
პროფესორი

## ანდლულაძეების მომღერალი ოჯახი

ვაგრძელებთ საოჯახო ანსამბლების რუბრიკას, რომელშიც ამჯერად ანდლულაძეების ოჯახს წარმოგიდგენთ. მშობლები – მაია გელაშვილი და თემურ ანდლულაძე მუსიკოსები არიან, რომლებიც ფოლკლორის სიყვარულმა დააკავშირა. ბუნებრივია, რომ მათი სამივე შვილი მღერის... ანდლულაძეების საოჯახო ანსამბლი ბოლო დროს არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფოლკლორული ღონისძიების მონაწილეა. საკუთარი ოჯახის მუსიკალურ ტრადიციებზე მაია გელაშვილი თავად მოგიყვება...

ჩვენი ოჯახი 15 წლისაა. მე და ჩემი მეუღლე – თემურ ანდლულაძე ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში: თემური კლასიკური გიტარის სპეციალობით, მე კი – თეორიულ განყოფილებაზე, ფოლკლორის სპეციალობით. ჩვენი სტუდენტობა რთულ პერიოდს დაემთხვა. თუმცა, სტუდენტურ ცხოვრებას ჩვენ თვითონ ვილაშაყებდით.



ანდლულაძეების საოჯახო ანსამბლი

ერთ შაბათ დღეს მეგობრებმა გადავწყვიტეთ ჭერმის ყვავილობა გვენახა ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ. ამისთვის დილა-ადრინად შევიკრიბეთ ვაკის პარკში. პარკში მისულელებს თემური დაგვხვდა. გაგვიკვირდა, ასეთ დროს იქ რომ იყო. მოგვიანებით მიზეზი რომ ვკითხეთ, ასე გვიპასუხა: მოსწავლეები მყავდა დაბარებული ჩიტების ჭიკჭიკის მოსასმენადო. ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრის და გაცნობის დღე. მას მერე,

თემური ჩვენი ყველა ქალაქგარეთ გასვლის აქტიური მონაწილე გახდა.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, წლების მანძილზე, თემური კლასიკურ გიტარაზე დაკვრას ასწავლიდა მუსიკალურ ტექნიკუმში, მე კი კერძო სკოლაში ვასწავლიდი ფოლკლორს. ჩვენ 9 წლის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. მიზეზი ოთარ ბერძენიშვილი გახლდათ, რომელსაც თემური კარგად იცნობდა, მე კი – არა.

ვთხოვე, შემახვედრე და გამაცანი, რომ მისგან გურული სიმღერების საინტერესო ვარიანტები ჩავიწერო-მეთქი. ჩვენი შეხვედრის მეორე დღეს დამირეკა და მითხრა: ოთარ ბერძენიშვილს სარძლოდ მოეწონე და რას იტყვიო. გამეცინა და ვუპასუხე: რადგან ოთარს მოვეწონე, ამაზეც ოთარმა იზრუნოს-მეთქი. ასეა თუ ისე, ჩვენ მალევე შევეუღლდით.

გყავს სამი შვილი – ია, საბა და მარიამი. ამჟამად გურიაში ვცხოვრობთ. მე ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ვმუშაობ ხელოვნების მმართველების ხელმძღვანელად, თემური, უკვე მერვე წელია, საზღვარგარეთ არის წასული სამუშაოდ, თუმცა, მისი სული და გული გურიაშია.

ჩვენს სამივე შვილს კარგი სმენა აქვს; სამივე ფოლკლორის ცენტრის ოზურგეთის წარმომადგენლობის სალოტბარო სკოლის გუნდში მღერის. საოცარი სითბოთი მახსენდება ის დღეები, როცა თემური ჩონგურს აიღებდა ხელში და ბავშვებს ამღერებდა „ბატონებს“, მერე ჩონგურს გადადებდა და „მასპინძელს“ დაიწყებდნენ...

პირველი სიმღერა, რომელიც ბავშვებს ასწავლა, გურული „ნანინა“ იყო. როცა ის ჩვენთან არის, გურული სიმღერების გარდა არაფერს გვამღერებს (ძირითადად, ბერძენიშვილების ვარიანტებს), მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის და უყვარს სხვა კუთხის სიმღერებიც. ჩემთან ერთად კი ბავშვები საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას მღერიან. საბა პატარა რომ იყო, „ჩვენ მშვიდობაზე“ იძინებდა, რადგან სხვა ყველა დანარჩენ სიმღერას თვითონაც ჰყვებოდა და ვერ იძინებდა. მახსენდება ასეთი შემთხვევა: საოჯახო ანსამბლების კონცერტზე თბილისში ვმღეროდით მე, ია და საბა. მარიამი პატარა იყო და გვისმენდა. კონცერტი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მარი ძალიან დაიღალა და როდესაც სცენაზე გურული სიმღერა აჟღერდა, სწორედ

მაშინ ჩაეძინა. მეგობარმა ღიმილით გადმომიღა-  
პარაკა: „მშობლიურ“ ჰანგებზე ჩაეძინა ბავშვსო.



გადაცემა „ეთნოფორის“ გადაღებისას

ჩვენ ვცხოვრობთ გურიაში, სადაც ყოველი სიტყვა, პასუხი თუ ქმედება ფოლკლორულია. რასაც ვემსახურები სულითა და გულით – ფოლკლორია. როდესაც მეუღლე ჩემზე ნაწყენია, ჩემთვის სიმღერას წამოვიწყებ. თუ ამევა, ე.ი. წყენამ გაუარა. თუ არა, იმ დღეს რამდენჯერმე მიწევს სიმღერა. აქ ერთ ხალხურ ანდაზას გავიხსენებდი: „მედოლეს ცოლს ჰკითხეს, შუმპარი (ცეკვა) თუ იციო და მაგის მეტი რა გამიკეთებია მე უბედურსაო“ (რამდენჯერაც ქმარი დოღზე დაუკრავდა, ცოლს იმდენჯერ უწევდა ცეკვა). როცა თემურის გარეშე გვიწევს გამოსვლა სცენაზე, ის ტელეფონის მეორე ბოლოდან „ბობოქრობს“: „როგორ გაბედა გელაშვილის ქალმა ანდლულაძეებთან ერთად სიმღერაო“.

იყო დრო, როცა გურული სიმღერები ჩემთვის მიუწვდომელი მწვერვალი იყო. ახლა ამ სიმღერებს ჩემი შვილები მღერიან და ძალიან მიხარია. ჩვენი უფროსი ქალიშვილი – ია უკვე წირვის საგალობლებს სწავლობს და ჩემთან ერთად გალობს. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუკი ჩემ შვილებთან და მეუღლესთან ერთად ტაძარში ვიგალობებთ და უფალს ვადიდებთ.

## ანსამბლი რუსთავი იაპონიაში

2018 წელს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი რუსთავი 50 წლის გახდა. იუბილის აღსანიშნავად ანსამბლმა არაერთი ღონისძიება გამართა: ჩაატარა სოლო კონცერტი, გამოსცა წიგნი „400 ხალხური სიმღერა ანსამბლ რუსთავის შესრულებით“ და ა.შ. თუმცა ყველაზე გრანდიოზული ღონისძიება რუსთავს იაპონიაში ელოდა, სადაც 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე იაპონურმა ფირმა მინ-ონმა (პრეზიდენტი კაზუტო იტო) ხანგრძლივი საკონცერტო ტურნე მოუწყო. იაპონიაში რუსთავი 53 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა; მოიარა 21 ქალაქი, გამართა 33 კონცერტი, რომლებმაც სრული ანშლაგით ჩაიარა და 100 000-ზე მეტმა მაყურებელმა ნახა. იაპონური გასტროლის შესახებ ბატონი ანზორ ერქომაიშვილი მოგვითხრობს.

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის, რაც რუსთავს იაპონიაში მოუწყვეს, სრულიად უპრეცედენტო ამბავი იყო. ფირმა მინ-ონმა ანსამბლი საუკეთესო პირობებით მიიწვია.

14 ოქტომბერს, ცნობილმა იაპონელმა რეჟისორმა, მასატო ხარადამ ტოკიოში ქართული ფილმების ფესტივალი გახსნა, სადაც ჩვენც მიგვიწვია. ფესტივალი გაიხსნა ვახტანგ ტაბლიაშვილის უკვდავი ფილმით „ქეთო და კოტე“. ამ ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა, არაჩვეულებრივი რეაქცია იყო, მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მსახიობები, კინოდარბაზში მხიარულება სუფევდა. ფილმის დამთავრების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბ-ნი ხარადა, რომელმაც უმაღლესი შეფასება მისცა ამ შესანიშნავ ფილმს, შემდეგ სიტყვა მე გადმომცეს და როცა მაყურებელს ვუამბუე, რომ ფილმში მონაწილე მსახიობებს ვიცნობდი, ისინი გაოცდნენ და მრავალი შეკითხვა დამისვეს. ბოლოს რუსთავმა „გინდ მეძინოს“ შეასრულა ფილმიდან. მაყურებელი დიდხანს არ გვიშვებდა დარბაზიდან...

18 ოქტომბერს ტოკიოში რუსთავის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი საიუბილეო კონცერტი ჩავატარეთ, რომელზეც იაპონელებმა 43 ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები და ტოკიოს

რჩეული საზოგადოება მოიწვიეს. დარბაზი გადაჭედული იყო, ბისებს ბოლო არ უჩანდა, მაყურებელი მქუხარე ტაშით გვაჯილდოვებდა. კონცერტის ბოლოს იაპონური სიმღერა შევასრულეთ, რომელიც სპეციალურად შევისწავლეთ ამ გასტროლისთვის. მაყურებელი ფეხზე იდგა და ჩვენთან ერთად მღეროდა. კონცერტის შემდეგ დიდი დარბაზობა გაიმართა. საღამო გახსნა საქართველოს ელჩმა იაპონიაში ლევან ცინცაძემ, შემდეგ სიტყვით ფირმა *მინ-ონის* პრეზიდენტი კაზუტო იტო გამოვიდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ტოკიოს ასეთი რამ ჯერ არ უნახავს, შემდეგ კი გამოთქვა სურვილი *რუსთავთან* გრძელვადიანი თანამშრომლობისა. სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, ცნობილი ადამიანები, რომელთაც უმაღლესი შეფასება მისცეს *რუსთავის* შემოქმედებას. ბოლოს იშვიათი იაპონური სამზარეულოთი გაგვიმასპინძლდნენ.

*მინ-ონის* პრეზიდენტის წინადადებით, 18 ოქტომბერი რუსთავის საიუბილეო დღედ გამოცხადდა.

20 ოქტომბერს დასვენების დღე გვქონდა და იაპონელ მომღერალთა გუნდმა *იამაშირო-გუმმა* იაპონურ რესტორანში დაგვპატიჟა. ჩვენ ამ გუნდთან სამ ათეულწელზე მეტია ვმეგობრობთ. ისინი მრავალჯერ ყოფილან საქართველოში და შესანიშნავად მღერიან ქართულ სიმღერებს. იამაშიროგუმმა არაჩვეულებრივი მასპინძლობა გაგვიწია, რისთვისაც მათ კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას.

28 ოქტომბერს ქალაქ ფუკუოკას პრეფექტურაში ჩავედით, სადაც გვესტუმრა გამოჩენილი ქართველი მოჭიდავე, იმპერატორის თასის მფლობელი, ტოკიოში ცნობილი და პატივცემული პიროვნება ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი). მან მთელი დღე ჩვენთან ერთად გაატარა, მეორე დღეს კი ჩვენს კონცერტზეც მოვიდა. მაყურებელმა შეამჩნია გამოჩენილი სუმისტი და ფეხზე ადგომით მიესალმა.

31 ოქტომბერს ნაგასაკში ჩავედით. იქ სპეციალური შეხვედრა მოგვიწვევს პარკში, სადაც 1945 წლის 9 აგვისტოს ამერიკელებმა ატომური ბომბი ჩამოაგდეს. დაგვხვდა ქალაქის ხელმძღვანელობა და რჩეული საზოგადოება. ბავშვებს ქართული დროშები და ტრანსპარა-

ნტები ეჭირათ ქართული წარწერით: „რუსთაველებო, კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება ნაგასაკში“. ჩვენ ყვავილების თაიგული მოვიტანეთ ობელისკთან, რომელიც ატომური ბომბის ჩამოვარდნის ადგილას დგას, შემდეგ კი დაღუპულთა სულების მოსახსენებლად ქართული საგალობელი შევასრულეთ. ქალაქის ტელევიზიამ ყველაფერი გადაიღო და ჩემგან ვრცელი ინტერვიუც ჩაიწერა.



ანსამბლის საკონცერტო განრიგი იაპონიის ქალაქებში

9 ნოემბერს ქალაქ მაცუიამაში გავემგზავრეთ. გზად ერთ ულამაზეს სკოლაში მიგვიწვიეს, სადაც ბავშვებმა საგანგებო შეხვედრა მოგვიწვევს. მათ არაჩვეულებრივად მოემზადებინათ ქართული სიმღერები და ლექსები.

სკოლის შესასვლელს ქართულად ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება ჩვენთან“, „*რუსთავი* საქართველოდან მშვიდობის მაცნეა“.

ბავშვებს კონცერტი გავუმართეთ, რასაც მათი აღფრთოვანება და ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა.

15 ნოემბერს კიოტოში ჩავედით, სადაც ქალაქის მერმა დაისაკი კადოკავამ მიგვიწვია. იქაური მერიის თანამშრომლები ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილნი დაგვხვდნენ. ჩვენც ჩოხებით მივედით და ქართული სიმღერები შევასრულეთ. შემდეგ კიოტოს ღირსშესანიშნაობები დავათვალიერეთ და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით წამოვედით.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო 16 ნოემბერი, როცა *მინ-ონის* ხელმძღვანელობამ *რუსთავის* მთელი შემადგენლობა „უნივერსალ სტუდიოში“ მიიწვია.



ანსამბლი რუსთავი იაპონელებთან ერთად ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ

ჩვენი ბოლო კონცერტი ქალაქ ოსაკას საფესტივალო დარბაზში გაიმართა. ეს დარბაზი საყოველთაოდაა ცნობილი. აქ სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ სახელგანთქმული მომღერლები, ბალეტის მოცეკვავეები. ფოიეებში გამოფენილია ამ დარბაზში გადაღებული იგორ სტრავინსკის, ჰერბერტ ფონ კარაიანის, ზუბინ მეტას, მაია პლისეცკაიას და სხვათა ფოტოები. ჩვენთვის დიდი პატივი იყო ასეთი დონის დარბაზში ორი კონცერტის გამართვა, რომლებმაც სრული ანშლაგით ჩაიარა. ტოკიოდან სპეციალურად ჩამოვიდნენ *მინ-ონის* ხელმძღვანელები. ძალზე შთამბეჭდავი იყო კონცერტის ფინალი, როცა მაყურებელს სპეციალური განათებით ქართული დროშა „გადააფარეს“. ბ-მა კატუზო იტომ სთქვა: *მინ-ონის* 55 წლის არსებობის ისტორიაში ასეთი კონცერტი არ ჩატარებულაო. ოსაკადან ტოკიოში გავემგზავრეთ, სადაც ბ-მა კატუზომ შესანიშნავი გამოსამშვიდობებელი ვახშამი გაგვიმართა, დაგვასაჩუქრა და გულთბილად დაგვემშვიდობა: „მომავალ შეხვედრამდე“!

## ქართულ-უცხოური ოჯახები ქართული ტრადიციების სადარაჯოზე (ნაწილი I)

*ქართული ტრადიციული კულტურით უცხოელების დაინტერესებას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე ქართულმა ფოლკლორმა არნახული რაოდენობის უცხოელი მუსიკოსი, მკვლევარი თუ მომღერალი მოიზიდა. სწორედ ქართულმა სიმღერა-გალობამ დააკავშირა ერთმანეთს ჩვენი ქართველი და უცხოელი რესპოდენტები, რომლებმაც მოგვიანებით ოჯახები შექმნეს და საქართველოში დამკვიდრებულ საოჯახო მუზიკირების ტრადიციას დიდი სიყვარულით აგრძელებენ.*

### ქეთევან მინდორაშვილისა და ჯონ უერდმანის ოჯახი

*ქეთევან მინდორაშვილი, ფილოლოგი, მომღერალი, ანსამბლ „ზედაშეს“ ხელმძღვანელი, კახეთის ქალაქ სიღნაღიდანაა, მხატვარი და მეღვინე ჯონ უერდმანი კი ამერიკელია. ისინი ერთმანეთს სიღნაღში შეხვდნენ და დღემდე სწორედ ამ ქალაქში ცხოვრობენ.*

**ქეთევან მინდორაშვილი:** მე და ჯონ უერდმანმა ერთმანეთი 1997 წელს გავიცანით, რაშიც ქართულმა სიმღერამ, კერძოდ, მეგრულმა „ასე ჩონგური“ მეტად რომანტიული როლი შეასრულა.

90-იანების ჩაბნელებული და ცივი ღამე იყო. მეზობელმა გოგონამ, რომელიც იმ დროს სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა, მთხოვა, „ასე ჩონგურის“ პირველი ხმა მასწავლეო. რა თქმა უნდა, შევპირდი, რომ ვასწავლიდი. საღამოს გასეირნება გადავწყვიტეთ. ჩემი ძმაც წამოგვყვა. სიღნაღი ხომ ყოველთვის მშვენიერია. იმ ღამესაც საოცრად ლამაზი იყო. მხოლოდ მთვარე ანათებდა არე-მარეს. ჩუმი ღიღინით ამოვიარეთ აღმართი და ჩავუარეთ ჯონის სახლს. გარეთ კაცის ჭაჭანება არ იყო. ანაგისკენ მიმავალ გზას რომ დავადექით, ვიგრძენით, რომ უკან ვიღაც მოგვყვებოდა ჩუმი ნაბიჯით. ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა ამ ამბავმა, ვერ მი-

ვხვდით, ვინ შეიძლება ყოფილიყო. ჩემი ძმა მიტრიალდა და მკაცრად ჰკითხა: ვინ ხარ და რა გინდაო? ხელში შეშინებული ამერიკელი ბიჭი შეგვჩა... ღიმილით აგვიხსნა, რომ ძალიან უყვარს ქართული ხალხური სიმღერები და ჩვენი სიმღერის ხმას გამოჰყვამო. მეტი რაღა გვინდოდა! გაგვიხარდა და სტუმრად წავიყვანეთ ჩვენი მეგობრის, თამილა სულხანიშვილის სახლში. ნავთის ლამპა ენთო, ოთახში თბილი შუქი იდგა. გვიმასპინძლეს ნიგვზით, ხილით, დაგვალევივნეს სახლის კონიაკი... დავიწყეთ სიმღერა, გალობა და არც კი მახსოვს, ეს რამდენ ხანს გაგრძელდა, რადგან დროის შეგრძნება ყველამ დავკარგეთ.

პირველ რიგში ის გვიხაროდა, რომ გავიცანით ქართული კულტურით დაინტერესებული უცხოელი ადამიანი. ამას განსაკუთრებული სიმბაფრით აღვიქვამდით იმ ბნელ დროში. ჯონი აღმოჩნდა შესანიშნავი მზარეული და თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბებოდით მის პატარა სახლში. ზოგს რა მოჰქონდა, ზოგს – რა და ასე ერთად ვატარებდით საღამოებს სიმღერით და თბილი საუბრებით საქართველოს წარსულზე, კულტურაზე, რელიგიაზე...

არ შემიძლია არ ვახსენო კახური „ოროველა“, რომლის ერთობლივმა შესრულებამ მართლაც მაგნიტის როლი შეასრულა ჩვენს ურთიერთობაში. არასოდეს დაგვაავიწყდება ის განცდა, როცა დავით გარეჯის გამოქვაბულებიდან სივრცეს გავყურებდით, მე „ოროველა“ წამოვიწყე, ჯონმა კი ბანი მომცა... თითქოს დრო გაჩერდა. დღესაც ვმღერით ერთად „ოროველას“, როცა შორს ვართ სამშობლოდან.

რაც თავი მახსოვს, სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სიმღერის გარეშე ვერაფერი წარმომიდგენია. მე, ჩემი ძმა და ჩვენი მოგვარე თეა ბოდბის წმინდა ნინოს ტაძარში ვგალობდით 90-იან წლებში. მეუფე დავით ალავერდელს არაერთხელ დავხმარებდით ვართ ალავერდობას და სხვა დღესასწაულებზე წირვის ჩატარებაში. ახლა სავსეა ტაძრები მგალობლებით, მადლობა შემოქმედს, მაგრამ 90-იან წლებში, მგალობელი კი არა, მორწმუნეც სანთლით საქმობარი იყო. დავდგებოდით გზაზე 15, 16, 17 წლის ბალები და ვიღაცა ყოველთვის დაგვიმგზავებდა. თელავში მშვიდობით

ჩავიდოდით და სიხარულით მივადგებოდით ღვთაების ტაძარს. დედებიც სიხარულით დაგვტრიალებდნენ, დაგვაპურებდნენ, გაგვათბობდნენ. დღემდე ჩემი მშობლიური სახლია ის ადგილი. დედა ვარ და ხშირად ვფიქრობ: როგორ არ ეშინოდათ ჩვენ მშობლებს, ასეთ პატარებს რომ ისე შორს გვიშვებდნენ!



ჯონ უერდმანისა და ქეთევან მინდორაშვილის ოჯახი

პროფესიით ქართული ენის ფილოლოგი ვარ. დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტი. სწავლის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მთელი სიმძიმე დედას დააწვა მხრებზე, ამიტომ, დაუსწრებელზე ვსწავლობდი, პარალელურად ორ ადგილზე ვმუშაობდი – ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში ქართული ფილოლოგიის კათედრაზე და სამუსიკო სასწავლებელში. 18 წლის ასაკის ადამიანისთვის საკმაოდ ნორმალური ხელფასს ვიღებდი და დედას მხარში ვედექი. სახელწიფო გამოცდები რომ ჩავაბარე, რატომღაც გადავწყვიტე, რომ კაბინეტში ჯდომა და სამეცნიერო საქმიანობისთვის თავის შეწირვა არ იყო ჩემი საქმე. მოგზაურობა, დინამიურობა ცხოვრება მერჩივნა. ჯონი რომ გავიცანი, ერთად დავიწყეთ მოგზაურობა საქართველოს მთასა და ბარში. ვაკეთებდით ჩანაწერებს და ბევრი საინტერესო მომღერალიც გავიცანით.

ჩემი პროფესია დღემდე მიყვარს და მეხმარება. ხალხური პოეზია ყოველთვის საჭირო

და გამოსადეგია, როცა ქართულ ხალხურ სიმღერას ემსახურები. ბევრჯერ მიპოვია სიმღერის ნაწილი დაუსრულებელი მელოდიით, ტექსტით და მეც მზად ვარ, თავი ჩავრგო ხალხური პოეზიის წიგნებში და აღმოვაჩინო იმ ლექსის დედანი და იმაზე მეტიც ვიპოვო, ვიდრე ვეძებდი.

20 წლის წინ ანსამბლი *ზედაშე* ჩამოვყალიბე და დღემდე მისი ხელმძღვანელი ვარ. პირველი აუდიოალბომი 1999 წელს ჩავწერეთ ჯონის დიდი მოწადინებით. ძალიან გვიკვირდა, ისეთი რა დაინახა ჩვენში, რომ თითქმის გვაიძულა, ჩაგვეწერა. იმ ბნელ დროში პატარა გენერატორი გვქონდა დაქოქილი და წმინდა გიორგის ტაძარში, შუალამისას, ერთ ამოსუნთქვაზე 28 სიმღერა და საგალობელი ჩავწერეთ. იმ პერიოდისთვის არ არსებობდა ციფრული ხმის ჩამწერი აპარატი, ამიტომ კასეტებზე ჩავიწერეთ და მერე ამერიკაში გავაკეთეთ ციფრული ვერსია. სწორედაც რომ ზღაპარი იყო, რაც იმ დამეს მოხდა.

ამ ზაფხულს უკვე მერვე დისკი ჩავწერეთ. 2019 წლის სექტემბერში ვგეგმავთ ტურს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რასაც ყველანი დიდი სიხარულით ველოდებით.

ჩემი მეუღლის, ჯონ უერდმანის შესახებ თქვენი ბიულეტენის წინა ნომერში დაწვრილებით დაწერეთ, ამიტომ აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჯონს ქართველებზე არანაკლებ უყვარს ქართული კულტურა, საქართველოს კი თავის მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. მან უცხო თვალით დაგვანახა და დაგვაფასებინა ჩვენი ტრადიციები და მუსიკალური ფოლკლორი, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ბევრი ჩვენგანისათვის.

ჩვენ ჯვარი 1999 წლის 1 აგვისტოს ალავერდში დავიწერეთ. გვყავს ორი შვილი: ლაზარე (17 წლის) და გვანცა (14 წლის) მინდორაშვილი-უერდმანები.

ქართული ხალხური სიმღერა მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო და არის. ორივეს კახური, ვაზის პწკალივით ჩახვეული სიმღერები მოსწონს. პატარობაში *ზედაშეს* სკოლის მოსწავლეები იყვნენ და ერთ-ერთ აუდიოალბომში მათი ნამღერი კახური შაირებიც გვაქვს ჩაწერილი; ლაზარე მეორე ხმას ასრულებს, გვანცა – პირველს. *ზედაშეს* რეპეტიციებს უსმენენ კვირაში სამი დღე და რომ მგონია, არ გვაქცევენ ყურადღებას, მოულოდნელად ისეთ რამეს წაიმღერებენ, გაცეხული ვდგავარ და ვუყურებ. ერთხელ გურულ ნადურს „ქალი ვიყავ აზნაური“ ვსწავლობდით. იმ დღეს მეორე მთქმელი არ მყავდა. ჩემთვის დავიწყე და გვანცამ საიდანღაც მიპასუხა!

გვანცა ერთი წლის წინ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო მუსიკის ბანაკში თავის ქართველ მეგობრებთან ერთად. ის დიდი ხალისით მღერის სამხრეთ აფრიკულ, ქართულ, კორსიკულ, ბულგარულ, ამერიკულ ხალხურ სიმღერებს. ისე შემოქმედებითად მიუდგნენ გოგოები აფრიკულ ხალხურ სიმღერას, რომ რაჭული ცეკვა მოარგეს და აუდიტორია გადარიეს.

ლაზარე 17 წლისაა. ეს საინტერესო ასაკია, ცოტა რთული. მას საკუთარი, ორიგინალური დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა კუთხის ხალხური სიმღერების მიმართ: სვანური „სასტიკია“, გურული – „მაღალი ძაბვა“, საგალობლები – ნამეტანი „ტრანსია“ და ა.შ. თუმცა, ეს ისე, სახალისოდ, თორემ კარგად იცის, რომ ყველა კუთხე და მისი სიმღერა იშვიათი მარგალიტია ჩვენი კულტურისა.

ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი შვილები ამაცობენ ქართული ფესვებით, კულტურით. უბრალოდ, როგორც ყველა შვილი ეძებს ახალ, საკუთარ გზას. ახლა მათაც ეს ეტაპი აქვთ ცხოვრებაში. ამიტომ, დღეს ისე ხშირად აღარ მღერიან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, კარგი მუსიკალური გემოვნება ჩამოუყალიბდებათ და აუცილებლად გააგრძელებენ ქართულ ფოლკლორულ ტრადიციებს.

## შრომის სიმღერები გურიაში (ნაწილი I)



აპოლონ წულაძე

გურული სიმღერები, რომლებიც შეგუებული, შეხამებული, მისადაგებული, შეხმატკბილებული იყო შრომა-გარჯილობასთან, აადვილებდა და ნაყოფიერ-ბარაქიანს ხდიდა შრომას, აძლევდა მას შინაარსსა და ხალისს. ზარმაცს აბეჯითებდა, ლაჩარს ამხნევებდა, დაღლილს ძალ-ღონეს მატებდა, ხორციელად ამხნევებდა, სულიერად აკეთილშობილებდა.

სიმღერას სწავლობდნენ ყურის დაგებით, ბუნებაში მუშაობის დროს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიმღერა გლეხობის კუთვნილება იყო და არა მაღალი წოდებისა. თავად-აზნაურობის საქმე გალობა-მოლხენა გახლდათ, სიმღერა კი უმთავრესად თან სდევდა შრომა-გარჯილობას, რასაც გლეხობა მისდევდა.

### ყანური ანუ ნადური

ყველა სიმღერაზე მეტად რთული, ძველი და, ამავე დროს, საყვარელია *ყანური*, ანუ *ნადური*, რომელსაც მღერიან ყანის თოხნისა და მარგვლის დროს, ამიტომ დაერქვა მას *ყანური*, ხოლო, რადგან იგი უნადოდ არ ითქმება, ამიტომ *ნადურსაც* ეძახიან. დამტკიცებულია, რომ *ნადური* სიმღერით ნადი ორჯერ მეტად ხალისით და დაუღალავად მუშაობს, ვიდრე უსიმღეროდ.

სიმღერა იწყება მეტად ნელი ტემპით, თანდათან მუხლიდან მუხლზე გადადის, მუხლი მოკლდება და ტემპიც მის შეესაფერად ვითარდება, ცხოველდება და სიმღერის დაწყებიდან 20-30 წუთის შემდეგ, როცა ტექსტი ი-ო, ი-ო, ი-ო, ი-ო-ზე გადადის, თოხის დარტყმაც სიმღერას ჰყვება. ამასთან, იმდენად სწრაფად, რომ თოხს თვალს ძლივს მოჰკრავ. თოხებს სიმღერის ტემპს აყოლებენ, როგორც მომღერლები, ისე არამომღერლებიც. აქ სრული ჰარმონიაა, თუ ვინმემ სიმღერას თოხი არ ააყოლა, ან გაუსწრო, ან ჩამორჩა, ის სიმღერას ისევე არღვევს, როგორც ცეკვის დროს – უადგილოდ და ურიგოდ ტაშის დამკვრელი. ყველამ ერთად უნდა დაიცვას ტაქტი, დამრღვევს ცალკე ნაპირს მიუჩენენ – თავის რიგში არ გაირევენ. თოხების დარტყმა და სიმღერა რიტმული უნდა იყოს.

*ყანური* სიმღერა არსებითად თითქმის ყველა ერთნაირია, მაგრამ სხვადასხვა კუთხის *ყანურს* შორის განსხვავება მაინც საგრძნობია. განსაკუთრებით საქებია: *საჯაოხურაი*, *ქუბულეთურაი*, *გურიანთულაი* და *შემოქმედურაი*. თითოეული მათგანი თავის კუთხური ხასიათ-ტემპერამენტით გამოირჩევა. *საჯაოხურაი* უფრო დინჯია, დარბაისლური, მოზომილი; *გურიანთულაი* – სწრაფი, აფეთქებული, ცოფი, შლეგი, იერიშის მიმტანი; *ქუბულეთურაი* *გურიანთულას* ენათესავება, მაგრამ უფრო მხედრულია; *შემოქმედურას* ახასიათებს მეტი სიტკბო და მოქნილობა.

იმის მიხედვით, რა დროს სრულდებოდა, *ყანური* სიმღერები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მუშაობის დაწყებისას დილის, ანუ *ხელ-მოსაკრავს* უწოდებდნენ; სადილობის ან შუადღისას – *წეროდიას*; სამხრის *ნადურს* – *შექცეულას*. *ნადურების* ციკლს *სამუშაოს გათავების ყანური* ასრულებდა. ყანის მთელ სამუშაოს რომ მორჩებოდნენ, დამამთავრებელ სიმღერას – *ელესას* გადააბამდნენ, რომლის ბოლო სამხედრო იერიშს გვაგონებს, მამაცური შეტევის მარშივით ჟღერს და გამარჯვების ყიჟინით მთავრდება.

*ყანური* სიმღერა რთულია და მისი კარგი შემსრულებელიც იშვიათად მოიპოვებოდა, ამიტომ კარგ მომღერალს მოწონება-დაფასება ჰქონდა, მისი ერთი დღის მოხმარება ორ დღედ ღირდა. ხშირად შეხვდებოდით ისეთ გლეხს, რო-



მელიც სხვას ვერც სიმღერაში მოეხმარებოდა და ვერც ლხინში, მაგრამ *ყანურის* მთქმელი, გამყვიანნი ან ბანი იყო.

*ნადური* სიმღერა ძველია, ისტორიულია, წარმოშობილია ბატონყმობის დროს ყმა გლეხებში. მასში ცხადად ჩანს ბატონების წინააღმდეგ შეთქმულება – ჯანყი, შეტევა, იერიში და გამარჯვება – ბატონების განადგურება. შემთხვევითი არ არის, რომ *ყანურის* ტექსტებს საჩივარს ეძახდნენ. ხშირად გაიგონებდით: „დღეს ნადურზე 20-25 საჩივარი ითქვაო“. ამ საჩივარ-ლექსებში აშკარად ჩანს გლეხების უუფლებობა. დაწყების პირველ საფეხურზე სიმღერა თითქოს უიმედოა, მომღერალთა სახეებიც ნაღვლიანია, მეორე საფეხურზე მასში გაცხოველებული კამათი იმართება – ბჭობა-თათბირი, ჭოჭმანი. მომღერლებს თანდათან ეტყობათ გამოცოცხლება, ხალისი და გამარჯვების იმედი. მესამე საფეხურზე ყველა ამაყი, შეუპოვარი ხდება, ხოლო სიმღერა შეტევა-იერიშზე გადადის. მომუშავეთა დარაზმულობა ციხის ამღებთა მხედრულ-სტრატეგიული წყობისაა, მხედრული დისციპლინის დაცვით. წყობას წინ უძღვიან მოთავეები, შეთქმულების მომწყობნი, მათ მოჰყვებიან ბანები, მუშები, თანამგრძობნი და თანამებრძოლნი. ნადი მუშაობის გათავეების შემდეგ მასპინძლისას მიდიოდა სავანშმოდ, სადაც ერთ ხეს ამოირჩევდა და თოხით ძირიანად მოთხრიდა. ამით სიმბოლურად ბატონს ანადგურებდა. ეს ჩვეულება იმის დამამტკიცებელია, რომ *ნადური* სიმღერა ნამდვილად ბატონების საწინააღმდეგო იყო.

ყანის დამუშავებას გურული უნადოდაც მოერეოდა, მაგრამ თუ მგლოვია რე არ იყო, იგი ყანას *ნადურით* ამუშავებდა, თუგინდ ნადის გამასპინძლება ნაშრომზე მეტი დაჯდომოდა. ნადი და *ნადური* სიმღერა იყო გლეხური გართობა, მეჯლისი, ბანკეტი. თუ ნადი გქონდა და მეზობელს არ დაპატიჟებდი, იწყენდა, კაცად არ ჩამაგდო, იტყოდა. ზოგს კი დაპატიჟებაც არ სჭირდებოდა. *ყანური* შემოესმებოდა თუ არა, თავის ყანას მიატოვებდა და ნადს შეუერთდებოდა. ნადზე ისევე სიამოვნებით მიდიოდნენ, როგორც ქორწილში, რასაც გურული დროსტარებად თვლიდა. კარგი *ნადური* თითქმის ოთხ კილომეტრზე ისმოდა. ზოგჯერ ნადში საჭიროზე მეტი ხალხი იყრიდა თავს, მაშინ მასპინძლის ყანას მა-

ლევე მორჩებოდნენ და მეზობლისაში გადადიოდნენ. ოღონდ კი ემუშავათ და ემღერათ, და ყანა ვისი იყო, ამას არ დაგიდევენ.

გარდა საჩივრისა, *ყანურში* სახუმარო ლექსებსაც მღეროდნენ, რომლებსაც „ყბამოსაქცევს“, ანუ დასაცინს, სამასხროს უწოდებდნენ. ამას მაშინ აკეთებდნენ, როცა ნადს წყალი მოსწყურდებოდა ან ძალიან მოშივდებოდა, სადილის დრო მოაწევდა, სადილის მომტანი კი არ ჩანდა. ასეთ დროს გლეხები ტექსტებში სახუმარო ლექსებს გამოურევდნენ.

*ელესას* ტვირთის აწევის ან გადატანის დროს მღეროდნენ, მაშინ, როცა გურიაში ურმით ტვირთის ზიდვა არ იცოდნენ, არც საამისო გზა იყო და არც ხარები ჰყავდათ. საშენი ხე-ტყის მასალა და ჭირნახული ტყიდან და ყანიდან ზურგითა და მხრებით გამოჰქონდათ, თუმცა, ზოგჯერ საჭირო ხდებოდა უგზო-უკვლო, ციცაბო კლდე-ღრიდან ისეთი მძიმე ტვირთის გამოტანა, როგორც იყო საწნახელი, საცალფეხო ხიდი, საანძე და ა.შ. იყო შემთხვევა, როცა რაიმე ნაგებობის დაუშლელად ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა-გადაჩოჩება ან ძალა აწევა იყო საჭირო, რაც 50-დან 200 კაცამდე მუშახელს მოითხოვდა. ასეთი სამუშაოები ძალიან სახიფათო, საფრთხილო იყო, საჭიროებდა ნამდვილ კოლექტიურ ერთსულოვნებას, სიფხიზლეს, ერთგულებას, სრულ ჰარმონიას, თორემ, საკმარისი იყო, რომელიმეს ერთი მცდარი ნაბიჯი გადაედგა, ყველას თან გადაიყოლებდა, კლდეზე გადაჩებდა და უბედურება მოხდებოდა.

ზოგიერთისთვის იქნებ დაუჯერებელიც იყოს ამ დროს სიმღერა, მაგრამ გურულებისთვის უსიმღეროდ მძიმე ტვირთის აწევა წარმოუდგენელი იყო. სიმღერის დამწყები-მთქმელი, საქმის ბელადი, სარდალი გახლდათ.

სიმღერა ერთი გრძნობით და მისწრაფებით მსჭვალავდა საქმის ყველა მონაწილეს – მთელ გუნდს ავიწყებდა სხვა ყველაფერს და მიჯაჭვავდა მხოლოდ და მხოლოდ ტვირთზე, რომლის სიმძიმე მსუბუქად ეჩვენებოდათ, დაღლასაც კი ვერ გრძნობდნენ.

ყველას ყური ბელადისკენ ეჭირა, რადგან ეს უკანასკნელი ხმის აწევ-დაწევით, ნელი და ჩქარი ტემპით, შემახილითა და გადამახილით აგრძნობინებდა, თუ როდის გადაედგათ ფეხი

ფრთხილად, ნელა, როდის გაველოთ ჩქარა, როდის გამართულიყვენ წელში და როდის მოხრილიყვენ – მისი სიმღერის კილო, საჭიროების მიხედვით, სიგნალიც იყო და განგაშიც. სანამ ტვირთი სახიფათო ადგილას მდებარეობდა, მანამდე *ელესა* ერთპირი იყო, ერთი ბელადი ხელმძღვანელობდა, მაგრამ როცა ტვირთს სამშვიდობოზე გადაიტანდნენ, სიმღერა ორპირად, უფრო მხიარულად და უდარდელად ჩაღებოდა. *ელესა* ულექსო სიმღერა იყო და, ბუნებრივიცაა, რადგან ლექსი რომ ეხმარათ, შეიძლება, ვინმეს ტვირთი და სიფრთხილე დავიწყებოდა და ლექსით გატაცებულიყო.

*ელესას* ბოლო სამხედრო შეტევის განგაშს ჰგავდა, რომელიც სრული გამარჯვების ყიჟინით მთავრდებოდა. ამ დროს ტვირთის მზიდავების სახეც, მიუხედავად დაღლილობისა, აღფრთოვანებული, ყველას თვალები ცეცხლოვანი, იმედიანი და ხალისიანი იყო.

დღეს ნამდვილ *ელესას* ვედარ გაიგონებთ. მღერიან მის პაროდისა, ქეიფის გათავების შემდეგ. მღერის ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ტვირთი არასოდეს აუწევია – ამას ეძახიან სუფრის *ელესას*.

მასალა აღებულია  
**აპოლონ წულაძის** წიგნიდან  
*ეთნოგრაფიული გურია*.  
 თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1971

## ამღერებული ამერ-იმერი

„ამერ-იმერი: მთელი საქართველო – აღმოსავლეთი და დასავლეთი... ამიერი და იმიერი: აქ – წუთისოფელი და სადღაც იქ – მარადიულობა...“ – ასე განუმარტა ამერ-იმერის მნიშვნელობა პოლონეთის ქალაქ ნოვი სონჩის ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის „მთიელ ბავშვთა ზეიმის“ მსმენელთ და მონაწილეთ ფესტივალის დამაარსებელმა და რეჟისორმა, ხალხურ საკრავებზე შემსრულებელმა, ბუნების ნამდვილმა მესაიდუმლემ და საოცარმა პიროვნებამ იოზეფ ბროლამ.

სიმბოლურია, რომ სწორედ ასე ჰქვია ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სტუდიას, რომელიც 1991 წელს დააარსეს ცნობილმა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ და მისმა მეუღლემ, ენათმეცნიერმა ნინო ბალათურიამ.



ამერ-იმერი და კასპის სალოტბარო სკოლის მოსწავლეები კონცერტის შემდეგ

ედიშერ გარაყანიძემ 1980-იან წლებში ფოლკლორული ანსამბლი *მთიები* შექმნა, რითაც სათავე დაუდო ავთენტურ სასცენო შემსრულებლობას და ხალხურ სიმღერას ბუნებრივი, ხალასი ხალხური იერი დაუბრუნა. ფუნდამენტურ ნაშრომში კი, – *ქართული ხალხური მუსიკის შემსრულებლობა*, – გამოიკვლია ხალხური სიმღერის განვითარებისა და ტრანსფორმაციის, ქმნადობა-შემსრულებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის, თაობიდან თაობაზე უწყვეტად გადაცემის გზა და ჩამოაყალიბა ბავშვებში ხალხური მუსიკის სწავლების ხალხურ პრინციპებზე დამყარებული მეთოდიკა, რომელსაც ხორცი *ამერ-იმერში* შეასხა.

სტუდიის დამაარსებელთა გარდაცვალების შემდეგ მათი საქმე ამავე სტუდიაში აღზრდილმა, ეთნომუსიკოლოგმა გიორგი გარაყანიძემ განაგრძო.

სტუდიის შექმნის მთავარი მიზანი ბავშვთა და საბავშვო ფოლკლორული ნიმუშების, ხალხური თამაშობების, გათვლა-მითვლების, სიმღერების და ცეკვა-ფერხულების გაცოცხლება, ყოფაში დაბრუნება და თაობებისთვის გადაცემა იყო; ეს კი, თავისთავად, ნიშნავდა ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის

შენარჩუნებას, ამ ტრადიციების ახალგაზრდა „მატარებელთა“ შემეცნებასა და აზროვნებაში ჩათესვა-გაღვივებას და აღორძინება-გადარჩენას. დამარსებლებს სჯეროდათ, რომ ბავშვები სტუდიის წიაღში სამშობლოს შეიმეცნებდნენ, შეიყვარებდნენ, ჭემმარიტ ქართველებად და ღირსეულ მოქალაქეებად აღიზარდებოდნენ და ქვეყანას გამოადგებოდნენ...



ფრაგმენტი სპექტაკლიდან „ჭეჭეთობა ღამე“

სტუდიაში ბავშვები ეცნობიან საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიას, მითოლოგიას, ზეპირსიტყვიერებას, სწავლობენ საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებსა და ცეკვა-ფერხულებს... ზოგჯერ ისინი მასწავლებლებთან ერთად დადიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ექსპედიციებით, სადაც უშუალოდ ადგილობრივებისგან სწავლობენ სიმღერებს, ცეკვებს, ეუფლებიან კუთხურ სამეტყველო თუ მუსიკალურ-სამემსრულებლო კილოკავს...

*ამერ-იმერის* ბავშვები თავადაც აცოცხლებენ სოფლად მივიწყებულ ტრადიციებს – ყოველწლიურად სხვადასხვა კუთხეში დადიან „ჭონასა“ თუ „ალილოზე“... ამგვარად, მათთვის პრაქტიკულად ცოცხლდება სტუდიაში მიღებული თეორიული ცოდნა. ყოველივე ზემოთქმულის შედეგია, რომ ბავშვებს ორგანულად აქვთ გათავისებული ქართული მრავალხმიანი აზროვნება და ბუნებრივად, ლაღად გრძნობენ თავს ამ სამყაროში: მღერიან თავისუფლად, ყოველგვარი დირიჟორობის, ხელმძღვანელის მიერ წინასწარ ტონის მიცემისა და ტემპის მი-

თითების, წამყვანი ხმების გაორმაგების გარეშე – სწორედ ისე, როგორც მათი თანატოლები მღეროდნენ სოფლად საუკუნეების განმავლობაში; ქმნიან საკუთარ „სტუდიურ ფოლკლორს“ – სიმღერების იმპროვიზაციულ ვარიანტებს, შაირებს, თამაშობებს, ენის გასატყეხებს, გამოსაჯავრებლებს და სხვ. მათი ფოლკლორული კონცერტები თეატრალიზებულ წარმოდგენებს ემსგავსება. ყოველ სასიმღერო ნიმუშს ბავშვები შესაბამისი ატრიბუტიკით ასრულებენ, საცეკვაო სიმღერას თან ახლავს იმპროვიზებული ცეკვა, სარიტუალო სიმღერას – შესატყვისი საფერხულო თუ სხვა ქმედება და ა.შ.

ათ წელზე მეტია, დეკანოზ დავით შარაშენიძის ინიციატივითა და მეურვეობით, სტუდია თბილისის წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯ მონასტერთან არსებობს. ბავშვები სწავლობენ წირვალოცვისა თუ პარაკლისის ტრადიციულ ქართულ საგალობლებს და ღვთისმსახურებაშიც მონაწილეობენ.

1994 წელს *ამერ-იმერი* ევროპაში საუკეთესო საბავშვო სტუდიად აღიარეს.

დღეისათვის *ამერ-იმერში*, უფროსების ჯგუფთან ერთად, უმცროსი ასაკის ჯგუფიც მუშაობს – პატარები ჩვეული სიცელქით, თამაშ-თამაშით, თუმცა, გულისყურითა და სიყვარულით ეცნობიან სამშობლოს, სწავლობენ ხალხურ სიმღერა-თამაშობებს, ზეპირსიტყვიერებას, ეუფლებიან ცეკვისა და ფერხულის ელემენტებს...

*ამერ-იმერს* რეპერტუარში აქვს ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ფოლკლორული სპექტაკლები. პირველი იყო „ჭეჭეთობა ღამე“, რომლის სცენარი ნინო ბაღათურიამ დაწერა და პირველად სტუდიელთა მეორე თაობის მიერ 1998 წელს თუმანიშვილის სახელობის კინოსახიობთა თეატრში გათამაშდა.

*ამერ-იმერის* დაარსებიდან 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ჭეჭეთობა ღამე“ აღვადგინეთ და დღევანდელ თაობას მოვარგეთ. წარმატებული პრემიერის შემდეგ მიზნად დავისახეთ, სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამუშაო სკოლებსა და კულტურის სახლებში გვეჩვენებინა.

პროექტს „ამღერებული ამერ-იმერი“ ვუწოდეთ და 2017 წლის 9 დეკემბერს საპატიო სტუმრებს რუსთაველის თეატრის მცირე სცენიდან წარვუდგინეთ.

მას შემდეგ *ამერ-იმერმა* სპექტაკლით მოიმღერა ფოთი, ქუთაისი, ხაშური, რუსთავი, დედოფლისწყარო, ბოლნისი, კასპი, ქედა, ბათუმი და თბილისის რამდენიმე საჯარო თუ კერძო სკოლა. გამართულ კონცერტებში *ამერ-იმერთან* ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების აღსაზრდელები. წარმოდგენას ყველგან ახლდა მეორე, იმპროვიზებული ნაწილი: სტუდიის აღსაზრდელები მასპინძელ ბავშვებთან ერთად, სრულიად უშუალოდ, უდიდესი ხალისითა და აღფრთოვანებით მღეროდნენ და ცეკვავდნენ. პროექტის მთავარი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო – ბავშვების ერთმანეთისთვის გაცნობა და შემოქმედებითად დამეგობრება...

ფოლკლორული კონცერტების დაგეგმვაში უდიდესი დახმარება გაგვიწიეს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა და ბავშვთა ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების ხელმძღვანელებმა.

პროექტი ძირითადად ენთუზიაზმით, კეთილი ადამიანებისა და სტუდიის აღსაზრდელთა მშობლების დახმარებით განხორციელდა. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მხარში ამოგვიდგა, გახლდათ ფონდი „ქართული გალობა“, რომლისთვისაც მთავარი ეროვნული ღირებულებების დაცვა და მომავალ თაობაზე ზრუნვაა.

პროექტი გაშუქდა რადიო-ტელევიზიის სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით, დაიწერა არაერთი სტატია... თუმცა, ჩვენთვის მთავარი და ყველაზე ძვირფასი მაინც ჩვენი მსმენელ-მყურებლის შეფასება და რეაქციაა: ბავშვების ინტერესით ანთებული თვალელები, კითხვები და საუბრები ნანახის გარშემო და ყოფაში გადმოტანილი თამაშები... ვფიქრობთ, ჩვენი შემოქმედებით მათში გაჩენილი ნაპერწკალი მომავალში აუცილებლად გაღვივდება...

...ოცდაშვიდი წელი გავიდა... სტუდიაში არაერთი თაობა აღიზარდა, *ამერ-იმერის* სული-

სჩამდგმელთა მიერ ჩათესილმა კეთილმა მარცვალმა კი კეთილი ნაყოფი გამოიღო და მთელ საქართველოში გამრავლდა... ამიტომაც გვწამს, „ამღერებული ამერ-იმერიც“ გაგრძელდება და ახალი ფოლკლორული წარმოდგენებით კვლავ მოივლის საქართველოს.

*მაგდა კველიშვილი*  
*ამერ-იმერის ხელმძღვანელი*

*ერთი ტრადიციული საკრავის შესახებ*

## ფანდური

ფანდური – სამსიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი – გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს როგორც მთაში, ისე – ბარში. სხვადასხვა კუთხის ფანდურები ერთმანეთისგან განსხვავდება გარეგნული მოყვანილობით. ხევსურული ფანდურის *კორპუსი* ნიჩბისებურია და მასიური, დანარჩენი კუთხეებისა კი – ნავისებური, ოვალური ან მსხლისებური.

ფანდური გამოთლილია მთლიანი ხისაგან – მისი *ტარი* და *კორპუსი* მთლიანია. *კორპუსი* შედგება *ქვედა* და *ზედა დეკისგან*. *ქვედა დეკა* ამოღრუბულია და გარედან გამოზერილი (მხოლოდ ხევსურული ფანდურის *ქვედა დეკაა* ბრტყელი და დაბალი). *ზედა დეკა* ქვედაზეა დაკრული. *ტარი* შედგება *თავისა* და *ყელისაგან*. *თავი* ოდნავ გადახრილია უკან და ნიჟარისებურია (თუმცა გვხვდება ნამგლისებრი, ცხენისებრი, გველისებრი *თავებიც*). ფანდურის *თავზე* გაკეთებულია სამი ნახვრეტი სიმების დამჭერი *მოქლონებისთვის* (სიმების მოსაჭიმი ჩხირები). *ყელი* ზემოდან ბრტყელია, ქვემოდან კი – მომრგვალებული. მასზე ხის *საქევებია* (დანაყოფები) ჩასმული. ისინი ერთმანეთისგან მიჯნავს სხვადასხვა სიმაღლის ორ მეზობელ ბგერას. ხევსურულ ფანდურს ორი *საქევეი* აქვს, ბარის ფანდურებს კი – 6-7.

*ზედა დეკის* ცენტრში გაკეთებულია *სახმო ნახვრეტები*, „უამისოდ ფანდური არ იმახებდა“. *ზედა დეკის* ზედაპირზე ათავსებენ *ჯორაკს*, რომელსაც სიმები უჭირავს გარკვეულ სიმაღლეზე.

ფანდურის სიმები თანაბარი სიგრძისა და სისქისაა. ისინი ძველად ნაწლავისაგან მზადდებოდა, ახლა კი ნეილონს იყენებენ.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა მთისა და ბარის ფანდურებს შორის, წყობა ყველას საერთო აქვს: I სიმი - c1, II სიმი - a, III სიმი - g.



ტრადიციული ფანდური

ფანდური თავდაპირველად ორსიმინი ყოფილა და მისი წყობა კვარტული იყო. ხევსურეთში ბოლო დრომდე შემორჩა ორსიმინი ფანდურები.

ფანდურზე უკრავენ მჯდომარე მდგომარეობაში. შემსრულებელს საკრავი უდევს მუხლებზე თითქმის ჰორიზონტალურად, საკრავის სახელური ოდნავ აწეულია. მარცხენა ხელის თითებით ბგერების სიმაღლე რეგულირდება, მარჯვენათი კი ხდება სიმების აჟღერება თითების ჩამოკვრით.

ცნობილია, რომ მუსიკალური საკრავის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმ მასალაზე, რომლისგანაც ის მზადდება. საქართველოს ყველა კუთხეში ფანდური მზადდებოდა იმ ხისგან, რომელიც მოცემულ კუთხეში ხარობდა. საფანდურე ხეს ზაფხულში ჭრიდნენ, რადგან ის ბუნებრივად შრებოდა. ხის მოჭრისას აუცილებლად ითვალისწინებდნენ მთვარის ფაზას. უპირატესობას სავსე მთვარეს ანიჭებდნენ. სხვა შემთხვევაში, ხე დეფორმაციას განიცდიდა ან ჭია უჩნდებოდა.

მთხრობელთა გადმოცემით, წინათ წარმოდგენილი იყო ოჯახი უფანდუროდ. თუ ვინმეს

ფანდური არ ჰქონდა, აჩუქებდნენ ან უნდა ეყიდა. ფანდური ერთ-ერთ საუკეთესო სამახსოვრო ნივთად ითვლებოდა. ძალიან ხშირად საგანგებოდ აკეთებდნენ სასაჩუქრე ფანდურებს. ყოველ ოჯახში ფანდური თვალსაჩინო ადგილზე ეკიდა.

ფანდური ძირითადად სააკომპანემენტო საკრავია, რომლის თანხლებით სრულდება სოლო სიმღერები. მასზე უკრავენ ქალებიც და მამაკაცებიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ფანდურის თანხლებით ძირითადად საგმირო შინაარსის ლექს-სიმღერები ითქმებოდა, სადაც ძირითადი ყურადღება ვერბალურ ტექსტზე იყო გადატანილი, ფანდურს კი შიგადაშიგ „აჩხაკუნებდნენ“. ბარში კი ფანდურის თანხლებით ძირითადად სახუმარო, სატრფიალო სიმღერები და შაირები, ასევე, საცეკვაო მელოდიები სრულდება. ამ „საცეკვაოებს“ ცეკვის დროს ახლავს ტაში, რომელიც რიტმს უსვამს ხაზს. ცეკვას ფანდურისა და ტაშის თანხლებით „ტაშ-ფანდურას“ უწოდებენ. ფანდურის გარეშე წარმოდგენილი იყო ხალხის ყოველგვარი შეკრება – ლხინი, ქორწილი თუ რელიგიური დღესასწაულები.

ფანდურის თანხლებით ასრულებდნენ ქალები სიმღერებს კოლექტიური შრომის დროს, თუმცა ეს იყო შრომის სიმღერები არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ წამახალისებელი, გასართობი სიმღერები.

ფანდურის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ბატონების“ კულტთან დაკავშირებულ რიტუალში. ძველად ბავშვთა ინფექციური დაავადებები ადამიანებში შიშს იწვევდა, ამიტომ ისინი მრავალგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რომ ბავშვები იოლად გამოჯანმრთელებულიყვნენ. ერთ-ერთი რიტუალი „ბატონების“ მოფერება, დაშოშმინება, მათ წინაშე მობოდიშება იყო, რომლის დროსაც ოჯახის წევრი ქალები ავადმყოფის ოთახში ფანდურზე უკრავდნენ და მღეროდნენ. ფანდური სახლში რომ არ ჰქონოდათ, სხვისგან უნდა მოეტანათ და აუცილებლად აეჟღერებინათ, თუნდაც, სიმღერის გარეშე. მათი რწმენით, ფანდურის დაკვრაზე „ბატონები არა წყრებოდნენ“ და ავადმყოფი მშვიდად ჯანმრთელდებოდა.

ფანდურის მონაწილეობა დასტურდება ცხენის შელოცვაშიც რაიმე დაავადების დროს.

ფანდურზე უკრავდნენ სახალხო დღე-ობებზე ე.წ. წმინდა ლუდის დაღვევის რიტუალის დროს, ღირსეული წინაპრების მოგონების დროს, საგმირო საქმეების ჩამდენთა გახსენების დროს. საინტერესოა, რომ თუშეთში, ხატობაში იმართებოდა ორსართულიანი ფერხული „ქორბელეა“, რომლის შუაში მდგარი სოლისტი, ზოგიერთი ცნობით, ხშირად ფანდურის თანხლებით მღეროდა.



ხევსურული ფანდური

დღეობებისა და ლხინის გარდა, ფანდური გამოიყენებოდა ყეენობისა და ბერკაობის დროსაც. დღემდეა შემორჩენილი სპეციალური საფანდურე ჰანგი „ბერიკულის“ სახელწოდებით.

აღსანიშნავია ფანდურის გამოყენება მწყემსურ ყოფაშიც, სალამურთან ერთად.

ფანდური, როგორც წესი, მხიარულების სიმბოლო იყო. ამიტომ მასზე არათუ არ უკრავდნენ მგლოვიარე ოჯახში, არამედ, მალავდნენ კიდეც ერთი წლის მანძილზე. წლისთავზე ოჯახის უფროსი გამოიტანდა საკრავს და ზედ დაამღერებდა, რასაც „ფანდურის გატეხას“ უწოდებდნენ. ამიერიდან ოჯახსა და მთელ მის სამეზობლოს უფლება ჰქონდა დაკვრისა და სიმღერისა.

სიტყვა „ფანდური“ ქართულ წერილობით წყაროებში პირველად X საუკუნის ხელნაწერში გვხვდება. ეს სახელწოდება ენთესავება ისეთი მუსიკალური საკრავების სახელწოდებებს, როგორცაა: ინდური, თურქული, სპარსული, ეგვიპტური tanbur ან tanbura; უზბეკური ტანბურ-ტუნბურ-ტამბურ-ტუმბურ; არაბული tonbur, thonbur, tambura; სომხური pandir, ბულგატული, პოლონური, სერბული tambur, რუსული bandura, ესპანური bandurna, იტალიური mandola, პროვანსული mandora, ფრანგული mandoire და სხვა.

სიმებიანი ყელიანი-მუცლიანი საკრავის წარმოშობის კერებად აღიარებულია წინა აზია და კავკასია. ხოლო ევროპაში (იტალიასა და ესპანეთში) ის არაბებს შეუტანიათ შუა საუკუნეებში.

ფანდურის ტიპის საკრავების წარმოშობას გერმანელი მუსიკოლოგი კურტ ზაქსი ვარაუდობს დაახლოებით ძვ. წ. აღ. II ათასწლეულიდან. ასეთი საკრავის გამოსახულებას პირველად ვხვდებით შუმერული წარმოშობის თიხის ფირფიტაზე (დაახლ. ძვ.წ.აღ. 2500წ).

ამგვარად, ფანდური უძველესი ხანიდან უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს. ამას მიუთითებს ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებიც (ფანდურის გამოყენება ისეთ წეს-ჩვეულებებში, რომლებიც ძალიან შორეულ ეპოქას უკავშირდება) და აგრეთვე მყარი სმენითი ტრადიციები (აწყობისა და საქვევების გაკეთების წესები), რომელთა გამომუშავებასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა.

მასალა დამუშავებულია *მაკა ხარძიანის* მიერ  
*მანანა შილაკაძის* ნაშრომზე -  
*ქართული ხალხური საკრავები და*  
*საკრავიერი მუსიკა - დაყრდნობით*

## ფესტივალი „ბალია ჩვენი ქვეყანა“

2018 წლის 15 აპრილიდან 30 სექტემბრამდე, Check-in Georgia-ს ფარგლებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, გაიმართა ფესტივალი სახელწოდებით „ბალია ჩვენი ქვეყანა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ექვსმა თბილისურმა ფოლკლორულმა ანსამბლმა: *ანჩისხატი, ადილეი, დიდგორი, შვენაბადა, იალონი, ნანინა*. ანსამბლებმა საქართველოს 30 მუნიციპალიტეტში ხუთ-ხუთი კონცერტი გამართეს. Check-in Georgia-მ უზრუნველყო ფესტივალის დაფინანსებაც, რომელიც მოიცავდა ანსამბლების ტრანსპორტირების, სასტუმროებში განთავსების, აფიშების ბეჭდვის ხარჯებსა და შემსრულებელთა ჰონორარს.



ფესტივალის აფიშა

თბილისურ ანსამბლებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა და ადგილობრივმა, რეგიონულმა ანსამბლებმაც მიიღეს. ხაზგასასმელია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლების მოსწავლეების ჩართულობა და დიდი ინტერესი, რომელთაგან ბევრმა პირველად მოისმინა წარმატებული თბილისური ანსამბლების ცოცხალი შესრულება და საინტერესო გამოცდილება მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროექტი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბით. თბილისური ფოლკლორული ანსამბლები პირველად ჩაერთნენ მსგავს პროექტში. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ დაიგეგმა 30 კონცერტი. ადგილობრივი

მუნიციპალიტეტებისა და კულტურის სამსახურების მხარდაჭერით, ანსამბლებს უფასოდ დაეთმოთ საკონცერტო დარბაზები. ადგილობრივი კულტურის სამსახურების დახმარებით მოხდა ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტებში.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი გაგრძელდება და მომავალ წელსაც დაფინანსდება. ვგეგმავთ ანსამბლების რაოდენობის გაზრდას, შესაბამისად, ფესტივალი მოიცავს უფრო მეტ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტს. ვფიქრობთ, რომ მსგავსი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართული მუსიკალური ფოლკლორის პოპულარიზაციისათვის, მეორე მხრივ კი, თბილისური ფოლკლორული ანსამბლების მხარდასაჭერად.

*გივი აბესაძე*  
ფესტივალის ორგანიზატორი

### ერთი ტრადიციული რიტუალის შესახებ

## „ბატონების“ კულტი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ტრადიციული მუსიკა

„ბატონებს“ საქართველოში ბავშვთა ინფექციურ დაავადებებს უწოდებენ. ქართველთა წინაპრების რწმენით, როცა ბავშვი ავადდებოდა, აუცილებელი იყო „ბატონების“ საამებელი რიტუალის შესრულება, რომ პატარა გართულებების გარეშე, იოლად მორჩენილიყო. ეს რიტუალი სიმღერის გარეშე არ ტარდებოდა. ამ სიმღერებს საერთო სახელი – *ბატონების იავნანები* ერქვა. ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში ისინი ე.წ. სამკურნალო ჟანრს განეკუთვნება და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელწოდებით გვხვდება: „ბატონების ნანინა“, „ბატონები“, „ია პატნეფი“, „ნანინა“, „საბოდიშო“ და ა.შ.

სახადით ავადმყოფობისას შესასრულებელი წეს-ჩვეულებები ქართველთა დიდი დედის – ნანასა და მისი შვილების (ბატონების) კუ-

ლტს უკავშირდება. ამავე კულტს უკავშირდება დასაძინებელი, ე.წ. *აკუნის ნანაც*, რომელსაც ხშირად „იავნანასაც“ უწოდებენ, თუმცა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ სოციალური ფუნქციით ეს ორი ნიმუში სხვადასხვა ჟანრებს განეკუთვნება და მათი აღრევა არასწორია.

ცნობილი ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე *ბატონების იავნანას* ტექსტის, ავადმყოფობასთან დაკავშირებული რიტუალის, ლეგენდების, უძველესი რწმენის გადმონაშთების, საწესო გრაფიკული ხელოვნების შესწავლის საფუძველზე ადგენს დიდი დედა ნანას ასტრალური კულტის არსებობას. მითოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერი მას წარმოაჩენს გაზაფხულზე აღორძინებული ბუნების, სიცოცხლის, შვილიერების, სინათლისა და ნაყოფიერების ქალღვთაებად. მისი აზრით, ავადმყოფი ბავშვის განკურნებისათვის შექმნილი რიტუალური გარემო დიდი დედისა და მისი შვილების ქვეყნის ამქვეყნიური გამოხატულებაა.

არქეოლოგიური მონაცემებით, ნაყოფიერების ღვთაების ჩამოყალიბება ენეოლითის ხანაში ივარაუდება. შესაბამისად, შეიძლება ვიმსჯელოთ მასთან დაკავშირებული რიტუალებისა და მუსიკალური ნიმუშების არქაულობაზეც.

ამგვარად, „მოსაბოდიშებელ“ რიტუალს საფუძვლად მითოლოგიური გადმოცემები უდევს. მათ მიხედვით, „ბატონები“ ზღვის იქით მობინადრე სულები არიან და დროდადრო სხვადასხვა მხარეში მოგზაურობენ ადამიანების ერთგულების შესამოწმებლად და ურჩების დასასჯელად. სწორედ ამიტომ, ადამიანები „ბატონების“ გაავებას ერიდებიან, არ ეწინააღმდეგებიან, პირიქით, ცდილობენ „დააშოშმინონ“ და ასიამოვნონ. ამისთვის ავადმყოფის ოთახს წითლად რთავენ, ყვავილებით ამკობენ, კეთილსურნელებას აკმევენ, ბავშვის საწოლს გარს უვლიან „ბატონებისათვის“ მისართმევი ძღვენით და საბოდიშო სიმღერებს ასრულებენ (ხშირად საკრავის თანხლებით). მათი რწმენით, მხოლოდ ამ შემთხვევაში, ბავშვი მშვიდად „ხდილობს“.

*ბატონების იავნანების* შემსრულებლები და საკრავზე დამკვრელები ძირითადად რიტუალის მონაწილე ქალები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბოდიშო სიმღერები მამაკაცებმაც

იცოდნენ, ისინი რიტუალში იშვიათად მონაწილეობდნენ.

აღსანიშნავია, რომ საბოდიშოები შემსრულებლების მიერ სიმღერებად არ აღიქმება, არამედ სავედრებლები, სადიდებლებია; ამასთანავე, ესაა ღვთაებებთან ურთიერთობის ფორმა, მათთვის გასაგები ხვეწნა, თხოვნა, ლოცვა სიმღერით. მათი მთავარი ფუნქცია თავის შეცოდება, შებრალება და ამ გზით წყალობის გამოთხოვნაა. სწორედ ამიტომ, *ბატონების იავნანებს* მათი კულტის მსახურები ამბობდნენ, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში „ბატონების მამიდა“, „მეზობდიშე“, „გამომლოცავი“, „შემხვეწე“ ერქვათ.

მნიშვნელოვანი იყო საკრავის მონაწილეობა „ბატონების“ მობოდიშების რიტუალში. ძნელი სათქმელია, როდის ჩაერთო საკრავი ამ რიტუალში, თუმცა, ერთი კი ცნობილია: ქართველთა წინაპრების ღრმა რწმენით, „ბატონებს“ ყველაზე მეტად საკრავის ხმა სიამოვნებდათ, უფრო მეტიც, ისინი ხშირად თავადაც ეთამაშებოდნენ და ახმიანებდნენ კედელზე დაკიდებული საკრავების სიმებს. აღსანიშნავია, რომ „ბატონების“ რიტუალში ქართულ ყოფაში მხოლოდ სიმებიანი საკრავებია ჩართული: აღმოსავლეთ საქართველოში – ფანდური, დასავლეთის ბარში – ჩონგური, სვანეთსა და რაჭაში – ჭუნირ-ჭიანური.

*ბატონების იავნანები* ჩაწერილია ქართულში, კახეთში, მესხეთში, ხევში, რაჭაში, იმერეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოსა და გურიაში. ამ სიმღერების უმრავლესობას საფუძვლად უდევს ერთი ინტონაციური ფორმულა, ერთი ძირითადი ჰანგი, ე.წ. „იავნანას“ მელიოდია, რომელსაც „ვედრების ინტონაცია“, „ღვთაებებისადმი მიმართვა“ შეიძლება ეწოდოს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ის იცვლება მუსიკალური დიალექტის შესაბამისად.

„ბატონების“ სიმღერების უმეტესობას ახასიათებს რეგულარულად აქცენტირებული მეტრიკა, ხშირად – საფერხულო რიტმი რბილი სინკოპებით. ეს მახასიათებლები, როგორც ჩანს, იმითაა განპირობებული, რომ მსგავსი სიმღერები სიარულით სრულდებოდა.

მათი უმრავლესობა მრავალხმიანია (სოლო შესრულება ძირითადად შემსრულებლის



„მარტოობითაა“ განპირობებული), რაც მათი სოციალური ფუნქციითაა ნაკარნახევი. ორხმიან ნიმუშებში ძირითადი ხმა ზედაა, სამხმიანში კი – შუა.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩაწერილ „ბატონების“ სიმღერებს ბურდონული (გაბმული ან რეჩიტატიული) ბანი ახასიათებს, დასავლეთ საქართველოში კი ბურდონულის პარალელურად, კომპლექსურ-პარალელური ტიპიც გვხვდება.

„ბატონების“ სიმღერების ზოგიერთ ვარიანტში ორი სოლისტი ენაცვლება ერთმანეთს ერთიანი ბანის ფონზე. გვხვდება ორგუნდოვანი ნიმუშებიც. რაც შეეხება ცალპირულ სიმღერებს, მათში აშკარად იგრძნობა უწინდელი ორპირულობის კვალი. ასეთებია ქართლური და რაჭული ნიმუშები. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ორხმიანობა „ბატონების“ სიმღერების უძველესი ფორმაა, სამხმიანობა – შედარებით გვიან-

დელი. ამის დასტურია ის, რომ სამხმიან სიმღერებში ზედა ხმის „მოხსნა“ არსებით ცვლილებებს არ იწვევს სიმღერაში.

სამწუხაროდ, ბატონების იავნანები ამჟამად გამქრალია ყოფიდან და მათ შესახებ მხოლოდ ძველი ჩანაწერების მიხედვით გვიწევს მსჯელობა.

*მასალა დამუშავებულია მაკა ხარძიანის მიერ  
ჟ. ბარდაველიძის, ვ. ბარდაველიძის,  
ნ. კალანდაძე-მახარაძის,  
ნ. ზუმბაძის, მ. გელაშვილის  
ნაშრომებზე დაყრდნობით*

**გთავაზობთ „ბატონების იავნანის“ იმერულ ვარიანტს, რომელიც ნოტებზე გადაიღო ნატალია ზუმბაძემ.**

# ბატონების ნანინა

(სახადით ავადმყოფის სამკურნალო)

♩ = 63

ნე - ი - ე - ბს,  
 ნა - ნი, ნა - ნა, ბა - ტო - ნე - ბო, ნა - ნი, ნა - ნა, ბა - ტო - ნე - ი - ე - ბს,

ნა - ნა, და - ტკბით, ტკბი - ლა - თ, ბა - ტო - ნო,  
 ნა - ნა, და - ტკბით, ტკბი - ლა - თ, ბა - ტო - ნო, ამ ბა - ტო - ნე -

ბის დე - და - სა, ნა - ნი, ნა - ნა, დი - დო - ვ ბა - ტო - ნო  
 ბის დე - და - სა, ნა - ნი, ნა - ნა, დი - დო - ვ ბა - ტო - ნო

უდგია ოქროს აკვანი,  
 ნანი, ნანა, დიდოვ ბატონო.  
 შიგ უწევთ ბატონიშვილი,  
 ნანი, ნანა, დიდოვ ბატონო.  
 ხანდიხან გადაარწვეენ,  
 ნანი, ნანა, დიდოვ ბატონო.  
 ხანდიხან ნანას ეტყვიან,  
 ნანი, ნანა, დიდოვ ბატონო.  
 ნანი, ნანა, ბატონებო,  
 ნანი, ნანა, დიდოვ ბატონო.

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:

მანია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2018

eISSN-1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,

გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2019 წლის ივნისში